პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 4 აპრილი, 1952 წ. № 81 (9241). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის — „პრავდის“ 3-IV მოწინავე (1-ლი გვერდი).

პარტიისა და მთავრობის დადგენილება ფასების ახალი შემცირების შესახებ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ნათელი დადასტურებაა (1-ლი გვერდი).

პარტიული კაბინეტი და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტები (მე-2 გვერდი).

საკოლმეურნეო, შეძლებული ცხოვრების გზით (მე-2 გვერდი).

ი. კოდუა — სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ძირითადი ამოცანები და პრინციპები (მე-2 და მე-3 გვერდი).

საშენი მასალით სავსეა ეროვნული ბანკი (მე-3 გვერდი).

პასუხი შეკითხვაზე — მდგომარეობა ტუნისში (მე-3 გვერდი).

სოციალიზმის ეკონომიკის წარმატებათა ახალი დადასტურება (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის

დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობის დიადი საქმე, უზრუნველყონ ხალხთა უშიშროება — ასეთია კეთილშობილური მიზანი, რისთვისაც ერთიანდება, თავის რიგებს რაზმავს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ასეულ მილიონობით კეთილი ნების ადამიანი.

მშვიდობისმოყვარე ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებამ — დაიცვან მშვიდობის საქმე, შეუძლებელი გახადონ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა აგრესიული გეგმების განხორციელება — ახალი გამოხატულება პოვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებებში, რომლებიც გუშინ გამოქვეყნდა და რომლებიც მან მიიღო ოსლოში 29 მარტიდან 1 აპრილამდე გამართულ სხეიაზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხეია შეიკრიბა იმ ვითარებაში, როცა ამერიკა-ინგლისის აგრესიული ბლოკი აძლიერებს ახალი მსოფლიო ომის მზადებას. ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები გააფთრებით ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, ამკვიდრებენ და აღრმავებენ გერმანიის გათიშვას, ყოველნაირად ამრკოლებენ მის გაერთიანებას. გერმანელი და იაპონელი ხალხების უმრავლესობის ნების წინააღმდეგ ხორციელდება დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის შეიარაღება. სასტიკი რეპრესიებით ახშობენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი.

ამ პირობებში მშვიდობისმოყვარე ხალხებს მოეთხოვებათ კიდევ უფრო აქტიური, ორგანიზებული და მტკიცე ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ეს გადაწყვეტილებანი მშვიდობის მომხრეებს აძლევენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ფართო პროგრამას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს საერთო რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო მტკიცედ მოითხოვს დიდ სახელმწიფოთა მოლაპარაკების საშუალებით მშვიდობიანად გადაწყდეს ომის-შემდგომი საკითხები. ამას თვალნათლივ მოწმობს ის ფაქტი, რომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხელი მოაწერა 603.570.000 კაცმა. ეს 122 მილიონით აღემატება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმომწერთა რიცხვს.

მაგრამ მიღწეულმა წარმატებებმა თვითდამშვიდება როდი უნდა გამოიწვიოს მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გამოაქვეყნა მოწოდება—შემდგომ გაძლიერდეს კამპანია მშვიდობის პაქტის დადებისათვის, მასობრივი მოსაბის იარაღის აკრძალვისათვის. ყველა ხალხთა და მშვიდობისმოყვარე ძალთა უფრო ფართოდ გაერთიანებისათვის ბიუროს გადაწყვეტა ივნისში მოიწვიოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია, რომელზეც იგი შეიტანს წინადადებას, რომ მიმდინარე წელს მოწვეულ იქნას მშვიდობის დაცვის დიდი კონგრესი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამერიკელ აგრესორთა მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხის განხილვას. დანაშაულებრივი ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, ხესიაზე მოხსენება გააკეთა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მშვიდობის დაცვის ჩინეთის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ გო მო-ჟომ. ამ მოხსენებაში და მშვიდობის დაცვის კორეის კომიტეტის თავმჯდომარის ლი გი ენის სიტყვაში მოყვანილია მრავალი ფაქტი, რომლებიც ამხილებს იმას, რომ ამერიკელი იმპერიალისტები კორეისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ ხმარობენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს, რაც აკრძალულია საერთაშორისო შეთანხმებებით.

„საშინელი დანაშაული, რასაც ამერიკის მთავრობა სჩადის,—განაცხადა გო მო-ჟომ, — ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობის უშიშროებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის; ეს დანაშაულობა მიმართულია ადამიანური სამართლიანობის წინააღმდეგ და არღვევს ყველა საერთაშორისო კონვენციას“.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა ბოროტმოქმედებამ, იმპერიალისტებისა, რომლებმაც იხმარეს ის იარაღი, რის გამოყენება ჰიტლერელმა მკვლელებმაც კი ვერ გაბედეს, აღაშფოთა ყველა პატიოსანი ადამიანი. ყველა ქვეყნის ხალხები გმობენ ამერიკელი ინტერვენტების მოქმედებას და მოითხოვენ ბაქტერიოლოგიური ომის მოთავეთა მკაცრად დასჯას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიიღო სპეციალური მოწოდება „ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ“. ამ მოწოდებაში ნათქვამია: „ჩვენ გულდასმით განვიხილეთ დოკუმენტები, რომლებიც ეხება ამჟამად ჩინეთსა და კორეაში წარმოებულ ბაქტერიოლოგიურ ომს. ამ დოკუმენტების შესწავლამ დიდად აღგვაშფოთა და შეგვაძრწუნა. ბაქტერიოლოგიური ომი არა მარტო საზიზღარი დანაშაულია, რომელიც უნდა აღიკვეთოს: ეს საფრთხეა მთელი კაცობრიობისათვის. ჩვენ მივმართავთ ყველა ქალისა და კაცის სინდისს და მოვუწოდებთ მათ მოითხოვონ ბაქტერიოლოგიური ომის შეწყვეტა და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვა“.

ბიურომ მოუწოდა მსოფლიოს ყველა ხალხს გავლენა მოახდინონ თავიანთ მთავრობებზე იმ მიზნით, რომ უკლებლივ ყველა სახელმწიფომ ხელი მოაწეროს, დამტკიცოს და დაიცვას 1925 წლის საერთაშორისო კონვენცია მახრჩობელა გაზებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომლის დამტკიცებაზე, როგორც ცნობილია, უარი თქვა ამერიკის. შეერთებული შტატების მთავრობამ. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სახელით მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ მოითხოვა, რომ ყველაზე საზიზღარი და ყველაზე საზარელი იარაღის გამოყენებაში დამნაშავე პირები მიცემულ იქნან სახალხო-ლო პასუხისგებაში როგორც სამხედრო დამნაშავეები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებანი, რომლებიც გამოხატავენ ასეულ მილიონობით ადამიანის ნება-სურვილს, უეჭველია, ფართო გამოხმაურებას ჰპოვებენ ყველა ქვეყანაში და დაეხმარებიან მშვიდობის დაცვისათვის ხალხთა მძლავრი მოძრაობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების საქმეს.

ყველა ქვეყნის მშვიდობის მომხრენი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ამხანაგ სტალინის პასუხს ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის კითხვებზე, რაც გუშინ გამოქვეყნდა.

„მესამე მსოფლიო ომი უფრო ახლოს არის თუ არა ამჟამად, ვიდრე ორი თუ სამი წლის წინათ?“—იკითხა ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფმა. „არა, არ არის“,—უპასუხა ამხანაგმა სტალინმა. კითხვაზე: „მოიტანდა თუ არა ხარგებლობას დიდი სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრა?“, ამხანაგმა სტალინმა უპასუხა: „შესაძლებელია, რომ მოიტანდა ხარგებლობას“. უპასუხა რა კითხვაზე: „მიგაჩნიათ თუ არა ახლანდელი მომენტი გერმანიის გაერთიანებისათვის შესაფერისად?“, ამხანაგმა სტალინმა განაცხადა: „დიახ, მიმაჩნია“. ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფმა იკითხა: „რა საფუძველზეა შესაძლებელი კაპიტალიზმისა და კომუნიზმის თანაარსებობა?“. „კაპიტალიზმისა და კომუნიზმის მშვიდობიანი თანაარსებობა, — წერს ამხანაგი სტალინი,— სავსებით შესაძლებელია, თუ იქნა ორივე მხარის სურვილი ითანამშრომლონ, თუ იქნა მზადყოფნა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი, თუ დაცულ იქნა თანასწორობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი“.

ი. ბ. სტალინის პასუხი საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ახალი დადასტურებაა, პოლიტიკისა, რომლის მიზანია განამტკიცოს ურთიერთობა ყველა სახელმწიფოს შორის, მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობა. მილიონობით ადამიანი ამ დოკუმენტში პოულობს პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც აღელვებს ხალხებს. ამხანაგ სტალინის პასუხი ხალხთა ფართო მასებს განუმტკიცებს მშვიდობის საქმის დაცვის შესაძლებლობის რწმენას, აღაფრთოვანებს მილიონობით მშვიდობის მომხრეს, რომ კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლოს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ.

ურყევია მშვიდობისმოყვარე ხალხთა მისწრაფება დაიცვან მშვიდობა. ხალხები, რომლებიც განიცდიან ომის, შიმშილისა და სიღატაკის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგებს, იმსჭვალებიან მშვიდობის დიადი საქმისათვის ბრძოლაში თავიანთი ძალების, თავიანთი შესაძლებლობის სულ უფრო მეტი შეგნებით. მშვიდობის მომხრენი ითვალისწინებენ, რომ მხოლოდ მშვიდობისმოყვარე ხალხების მტკიცე ორგანიზებულ მოქმედებას შეუძლია ჩაშალოს იმპერიალისტთა დანაშაულებრივი ზრახვები, დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობის საქმე.

„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, —თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდშია ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლო, რომელიც ერთგულია თავისი მშვიდობისმოყვარული სტალინური საგარეო პოლიტიკისა. ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა ადამიანები ბოლშევიკური პარტიის, ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობენ ჩვენი სამშობლოს—მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის ძლიერების განმტკიცებისათვის, აქტიურად იბრძვიან მტკიცე, ხანგრძლივი მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის.

„პრავდის“ 3-IV მოწინავე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე ჩამოსული დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა 4 აპრილს იწარმოებს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე, 5 აპრილს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში, ოთახი № 14, ტელეფონი № 3-15-43, ხოლო 6 საათის შემდეგ გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება ფასების ახალი შემცირების შესახებ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ნათელი დადასტურებაა

ცხოვრება სულ უფრო საამური ხდება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვნად მიესალმებიან ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებას საასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს ცვლის უფროსმა ამხ. ბ. მელქაძემ ფასების ახალი შემცირების შესახებ დადგენილების გაცნობის შემდეგ განაცხადა:

— ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად დიდი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის. ამ ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირება. ამ დიდი ზრუნვის პასუხად ჩემი ცვლა დგება სტახანოვურ ვახტზე. ვკისრულობ აპრილის გეგმა შევასრულო სულ ცოტა 105 პროცენტით, გავწიო ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომია, დავზოგო ელექტროენერგია და გამოვუშვა მხოლოდ მაღალხარისხოვანი ლითონი.

სოფელ ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ვ. ნებიერიძემ, როცა გაეცნო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, თქვა:

— ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ფასების ახალი შემცირება ხალხის კეთილდღეობისათვის სტალინური მზრუნველობის ნათელი დადასტურებაა. ამ ზრუნვას ჩვენ, კოლმეურნეები, ახალი შრომითი აღმავლობით ვუპასუხებთ.

მძლავრი პაჭრიოტული აღმავლობა

სუხუმი. („კომუნისტის“ კორ.). მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აფხაზეთის მშრომელთა მძლავრი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ. რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა სახელდახელო მიტინგები. სოციალისტური მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები თავიანთ სიტყვებში გამოხატავენ მთელი ხალხის უდიდეს კმაყოფილებას და გულითად მადლობას ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაზე განუწყვეტელი ზრუნვისათვის.

სუხუმის თამბაქოს ფაბრიკაში მიტინგზე სიტყვით გამოსულმა დამტენი საამქროს სტახანოველმა ბრიგადირმა ამხ. ი. შენგელიამ თქვა:

—უდიდესი აღფრთოვანებით შევიტყეთ, რომ ჩვენმა მშობლიურმა საბჭოთა მთავრობამ და ბოლშევიკურმა პარტიამ მიიღეს დადგენილება სასურსათო საქონლის ფასების ახალი — სათვალავით მეხუთე—შემცირების შესახებ. ფასების ახალი შემცირება იმის ბრწყინვალე დადასტურებაა, რომ ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება ჩვენი სამშობლოს ძლიერება. სტალინური მზრუნველობის საპასუხოდ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას ახალი საწარმოო წარმატებებისათვის, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიისათვის.

—სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირება, — განაცხადა საპილზე საამქროს სტახანოველმა ამხ. ა. მუსოიანმა, — საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან მისწრაფებათა საუკეთესო გამოხატულებაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ განხორციელებულა ფასების შემცირება. პირიქით, იქ განუწყვეტლივ იზრდება საქონლის ფასები, დიდდება შეიარაღების ხარჯები, უარესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავს ხალხისათვის. ამ მზრუნველობას ჩვენ ვუპასუხებთ სტახანოვური მუშაობით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და თვითღირებულების შემცირებით.

— პარტიისა და მთავრობის დადგენილების საპასუხოდ ახალი შრომითი წარმატებებით ვასახელებთ სამშობლოს! — თქვა საჰილზე საამქროს ოსტატმა ნ. მარტინენკომ, — დიდი მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის!

სუხუმელმა მეთამბაქოეებმა იკისრეს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულონ აპრილის საწარმოო გეგმა, მისცენ ქვეყანას მაღალხარისხოვანი თამბაქო.

ჩვენზე ზრუნვას თავდადებული შრომით ვუპასუხებთ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები სიხარულით შეხვდნენ ცნობას ფასების ახალი შემცირების შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სტახანოველმა ტ. ფოფხაძემ განაცხადა:

— საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკური პარტია და მშობლიური სტალინი მუდამ ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ასე როდია ბურჟუაზიულ ქვეყნებში. იქ კაპიტალისტები სიკვდილს თესავენ.

დიდი სტალინის მამობრივ მზრუნველობას მაღაროელები თავდადებული შრომით ვუპასუხებთ, სამშობლოს ზეტსა და მეტ მარგანეცს მივცემთ.

კოლმეურნეთა გულითადი მადლობა

ბოლნისი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია რაიონის მშრომელებში.

სოფელ თამარისის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მოწინავე ბრიგადირმა ზ. ტოგონიძემ თქვა:

— დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ახალ წარმატებებს აღწევს. უფრო ძლიერი ხდება ჩვენი საყვარელი სამშობლო, რის მკაფიო დადასტურებასაც წარმოადგენს დადგენილება სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ. ჩვენი ბრიგადის წევრთა სახელით პირობას ვიძლევი შემჭიდროებულ ვადებში შევასრულოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და უზრუნველყოთ ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი ნათესების თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი პურის მიღება. გულითადი მადლობა მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას სტალინური მზრუნველობისათვის.

დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ვალდებულება იკისრეს 21.000 ჰექტარი პურის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 18 ცენტნერი ხორბალი, ყურძნის მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე გაზარდონ 55 ცენტნერამდე, გადაჭარბებით შეასრულონ მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და სულადობის ზრდის გეგმები.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს წითელსოფლის, ქვეშის და რაიონის სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა.

საბჭოთა კავშირში

★

ოლღა ალიოშინას ახალი წარმატება

ლენინგრადი, 2 აპრილი. (საკდესი). რეზინის ტექნიკურ ნაწარმთა ქარხნის სტახანოველმა ოლღა ალიოშინამ, რომელიც გამოვიდა ბრიგადებში მუშათა რაოდენობის შემცირებისათვის შეჯიბრების ინიციატორად, ახალ საწარმოო წარმატებას მიაღწია. ინჟინერთა ჯგუფთან შემოქმედებითი თანამშრომლობით მან შექმნა სპეციალური პნევმატური მოწყობილობა ფრეზების მუშაობის ავტომატური გადართვისათვის.

ამ მოწყობილობის დანერგვა ბევრად ამცირებს ოპერაციათაშორის დროს და აადვილებს მუშა ქალთა შრომას. ავტომატიკამ გაუმჯობესა დაზგის მუშაობის სიზუსტე, რამაც კარგი გავლენა მოახდინა ღარვის ხარისხზე. გამოცდამ ცხადყო, რომ ოლღა ალიოშინას სისტემის ავტომატით უზრუნველყოფილ დაზგას ჩვეულებრივ დაზგაზე 15 პროცენტით მეტი წარმადობა აქვს.

გადაწყვეტილია ქარხნის ყველა სამღარველო დაზგა უზრუნველყოფილ იქნას ახალი ავტომატებით.

თვითეულ ახაშენებელ სახლზე საშენ მასალათა მომპირნეობისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები (მარცხნიდან მარჯვნივ): ტრესტ „ზაპოროჟსტროის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ინჟინერი ვ. ა. ნაგორნი, ხუროთა ბრიგადირი ბ. ფ. კუროჩკინი, კალატოზთა ბრიგადირი ვ. ი. სოვა და მებათქაშეთა ბრიგადირი ი. ა. ლუკიანიუკი.

ფოტო ა. კრასოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ქრამატორსკელ მანქანათმშენებელთა ახალი პროდუქცია

ქრამატორსკი, 2 აპრილი. (საკდესი). დღეს სტალინის სახელობის ნოვოკრამატორსკის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამთავრდა მძლავრი საჭედი წნეხის დამზადება. იგი განკუთვნილია ახალი ტიპის სამჭედლო საამქროების შესაიარაღებლად. ასეთი საამქროს შემუშავებისა და განხორციელებისათვის მეცნიერთა და ინჟინერთა ჯგუფს მიენიჭა სტალინური პრემია.

ქრამატორსკის მანქანათმშენებლებმა პირველ კვარტალში დაამზადეს ათი ახალი ტიპის მანქანა და მექანიზმი. ათ მეტალურგებს გაუგზავნეს სამსხმელო ამწე, რომელსაც შეუძლია ასწიოს 360 ტონა სიმძიმის ლითონის ციცხვი. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის შექმნილია მძლავრი ამწე მექანიზმები.

ოლღინსკის ახალი საწარმოო ციკლის შემცირებისათვის

31 მარტს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ლენინგრადის ფეხსაცმლის ფაბრიკა „სკოროხოდის“ ნოვატორების—ინჟინრების ლ. კამინსკის, კ. ლევიცკისა და სტახანოველი ბრიგადირის ა. რომანოვას თაოსნობა. მათ წინადადება შეიტანეს დაწყებულ იქნას სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ უბანზე საწარმოო ციკლის შემცირებისათვის. ამ წინადადების მიზანია შინარეზერვების უკეთ გამოყენება, ყველა მაჩვენებლის მიხედვით გეგმის წარმატებით შესრულება.

უფროსმა ინჟინერმა ლ. კამინსკიმ კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ ფაბრიკა „სკოროხოდში“ შეიქმნა სტახანოველთა და ინჟინერთა 22 შემოქმედებითი ბრიგადა, რომლებიც ამუშავებენ მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძველზე საწარმოო ციკლის შემცირების საკითხებს. შედარებით მოკლე ვადაში გამომჭრელი საამქროს სამ უბანზე, სადაც გამოყენებულ იქნა ნოვატორთა წინადადება, მოხერხდა საწარმოო ციკლის ერთიორად შემცირება, ხოლო დაუმთავრებელი წარმოების მოცულობისა — ერთისამად.

ნოვატორთა თაოსნობას მხურვალედ დაუჭირა მხარი ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა. სკოროხოდელებმა ვალდებულება იკისრეს ფეხსაცმლის ძირითადი სახეების დამზადების საწარმოო ციკლი საშუალოდ ორი დღით შეამცირონ. წარმოებს მუშაობა ფეხსაცმლის გაშრობის რაციონალიზაციის, ცხელი ვულკანიზაციის პროცესის ხანგრძლივობის შემცირების, პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ფაბრიკა „სკოროხოდის“ ბრიგადირმა ა. რომანოვამ. მან ილაპარაკა თავისი ბრიგადის მუშაობაზე, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა საწარმოო ციკლი.

სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა სკოროხოდელთა თაოსნობა და გადაწყვიტა შეიმუშაოს სხვა საწარმოებში მისი ფართოდ გავრცელების ღონისძიებანი. (საკდესი).

★

წყალი დონის მაგისტრალურ არხში

დაბა ვოსხოდი (როსტოვის ოლქი), 29 მარტი. (საკდესი). ვოლგა-დონის სარწყავ ნაგებობათა სამმართველოს მშენებლებმა დაამთავრეს გრუნტის ამოღება დონის მაგისტრალური არხის პირველი რიგის ტრასზე. გაზაფხულისა და წვიმის წყლების ჩასადენად, რომლებიც არხის მარცხენა ნაპირზე დაბლობებში და ხევებში გროვდება, არხის ფსკერზე გაკეთებულია რკინა-ბეტონის მთელი რიგი ღვარსადენები. არხზე ძირითად სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მშენებლები მას ამზადებდნენ გასაყენებად, რაც უნდა შესრულებულიყო დონის წყლით სატუმბავ დანადგართა დახმარებით.

ერთბაშად ათობობამ და წვიმებმა თოვლის სწრაფი დნობა გამოიწვია. არხის რაიონის დაბლობ ადგილებში გაჩნდა ტბები, ველის მრავალი ხევი და ხრამი გაზაფხულის წყლით აივსო. წყალი დიდი წნევით დაიძრა არხისაკენ, მის ღვარსადენში. მშენებლებმა გადაწყვიტეს არ დალოდებოდნენ დონიდან წყლის გადატუმბვას და დონის მაგისტრალური არხის გასაყენებად გამოეყენებინათ გაზაფხულის წყალი, რომელიც უსარგებლოდ იკარგებოდა. ამ მიზნით არხის ჯებირში გააკეთეს ჭრილები, რომლებითაც მარცხენა ნაპირის ხევებიდან და ხრამებიდან დაიძრა წყალი. პირველი 12 საათის განმავლობაში არხის 8 კილომეტრ უბანზე წყლის დონემ 1 მეტრს მიაღწია.

დღეს, როცა გაზაფხულის წყლის გაშვება მოეწყო კიდევ ერთ — სათვალავით მეექვსე — ადგილზე, წყლის დონემ არხში პირველი რიგის მთელ ტრასზე 2,5 მეტრს მიაღწია. ვოლგა-დონის სარწყავ ნაგებობათა მშენებლებმა ორ დღეღამეზე ნაკლებ დროში შეძლეს გადატუმბვისათვის საჭირო დამატებითი სახსრების დაუხარჯავად ღაეგროვებინათ არხში გასაყენებად საჭირო წყლის მესამედი — 1 მილიონამდე კუბური მეტრი.

არხში წყალი სწრაფად მატულობს. დაიწყო ქვემო დონის არხის გაყენებინა, რომელმაც ამ გზაფხულზე უნდა ორწყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 65 ათასი ჰექტარი ფართობი. დღეს დილით დონის მაგისტრალური არხიდან წყალი გადმოვიდა ქვემო დონის არხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

პარტიული კაბინეტი და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტები

ჩვენს რაიონში წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით ასამდე კომუნისტი იმაღლებს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს. მათ დასახმარებლად სასწავლო წლის დაწყებამდე პარტიის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა 15 კონსულტანტი.

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა ინდივიდუალური გეგმის შედგენით იწყება. ამიტომ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მივაქციეთ. თუ გასულ წლებში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები სრულიად არ ითვალისწინებდნენ თავიანთ სამუშაო გეგმებში რეფერატებისა და მოხსენებების მომზადებას ცალკეულ საკითხებზე, ახლა მათ უმრავლესობას ეს გათვალისწინებული აქვს და კიდევაც ამზადებს რეფერატებს და მოხსენებებს, რომლებსაც შემდეგ კითხულობენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა შორის. რეფერატებსა და მოხსენებებს ესწრებიან აგრეთვე წრეებსა და პოლიტსკოლებში ჩაბმული ამხანაგები. სასწავლო წლის დაწყებამდე პირველადს პარტორგანიზაციებში მივავლინეთ გამოცდილი და მომზადებული კომუნისტები, რომლებმაც პრაქტიკული დახმარება გაუწიეს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს გეგმების შედგენაში.

კონსულტანტის თეორიულ მომზადებაზე და მეთოდურ დახელოვნებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ კომუნისტების წარმატება, რომლებიც წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობენ. პარტიული კაბინეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს კონსულტანტების დახმარების საქმეს. მათთვის სისტემატურად ვაწყობთ კვალიფიციურ ლექციებს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებისა და სხვა საკითხებზე. ვსწავლობთ, თუ როგორ ეხმარებიან კონსულტანტები დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს, კონსულტანტთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით ვაწყობთ თათბირებს. კონსულტანტთა უმრავლესობა კარგად მუშაობს და ყოველთვის მზად არის ამომწურავი პასუხი გასცეს დამოუკიდებლად მომუშავეთა მიერ აღძრულ საკითხებს.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ერთი თვის შედეგები განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ. აღინიშნა ნაკლოვანებანი თვითგანათლების საქმეშიც. გამოირკვა, რომ ღონელების, საყდრიონის და სიმონიანთხევის პარტიულ ორგანიზაციებში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებმა სასწავლო წელი ცუდად დაიწყეს. რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მდგომარეობა თვალსაჩინოდ გამოსწორდა.

პარტიული კაბინეტის ყოველდღიურ სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია ლექციები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის, უმთავრესად მარქსიზმის კლასიკოსთა ცალკეულ შრომებზე. მაგალითად, ლექციები მოეწყო შემდეგ შრომებზე: ვ. ი. ლენინის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, და „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“; ი. ბ. სტალინის შრომებზე: „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“; თემებზე: „ბოლშევიკების პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“, „მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნები“ და სხვა. აღნიშნულ საკითხებზე ლექციები მოეწყო მაგრანეთის საკოლმეურნეო, თიანეთის საშუალო სკოლის, ხევსურთსოფლის საკოლმეურნეო, ყებოტის სასკოლო, ახალსოფლის სასკოლო და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში.

პარტიულ კაბინეტში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის სისტემატურად ეწყობა ინდივიდუალური კონსულტაციები, გამოყოფილია ცალკე სამეცადინო ოთახი. აქვეა მოწყობილი სათანადო ლიტერატურისა და სხვა საჭირო მასალების გამოფენა.

უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები კარგად ხელმძღვანელობენ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლის საქმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თიანეთის საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ე. გვარამაძე). აქ დამოუკიდებლად მუშაობს 14 ამხანაგი, მათ შორის 12 კომუნისტი და ორი კომკავშირელი. ყველას შედგენილი აქვს ინდივიდუალური მუშაობის გეგმა. კომუნისტები ბეჯითად მეცადინეობენ თავიანთი ცოდნის ასამაღლებლად. რეფერატები მოამზადეს და წაიკითხეს ამხანაგებმა ვ. ქუთათელაძემ თემაზე: „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“, თ. გვარამაძემ — „კულაკური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლა“, რ. იარაჯულმა — „ლენინის აპრილის თეზისები“ და „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. დამოუკიდებლად მომუშავეთათვის პარტორგანიზაციამ პარტიული კაბინეტისა და საკუთარი ძალებით მიმდინარე სასწავლო წელს მოაწყო 13 ლექცია.

დამოუკიდებლად მომუშავე რ. გელოვანი ამჟამად ამზადებს ლექციას თემაზე —ი. ბ. სტალინის შრომა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“, თ. მამულაშვილი — „პატრიოსანი და ნაყოფიერი შრომა საბჭოთა საზოგადოებისა და პიროვნების კეთილდღეობის საფუძველია“, ე. სისაური — „სოციალისტური საკუთრება წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელია“. პარტიულმა კრებამ მიმდინარე სასწავლო წელს ოთხჯერ განიხილა პარტიული სწავლების მიმდინარეობის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რაიონში ჯერ კიდევ არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიული სწავლების საქმეს, კერძოდ, თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს. ასეთ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების პარტიული ორგანიზაციები (მდივნები ა. გოჯიაშვილი და ე. მაჩურიშვილი). პარტიული კაბინეტიც ხშირად ვერ ეხმარება რაიონის ცენტრიდან დაშორებულ კომუნისტებს. იშვიათად ვმართავთ მათთვის ლექციებს, განსაკუთრებით მარქსიზმის კლასიკოსების ცალკეულ ნაშრომებზე.

არსებულ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით გავაძლიერებთ დახმარებას დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი, უფრო ავამაღლებთ პარტიული განათლების დონეს.

ა. ოგბაიძე,
საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის პარტიული კაბინეტის გამგე

ქობულეთის რაიონის ციხისძირის სახელმწიფო სანერგის სპეციალისტები მუშაობენ ლიმონის ყინვაგამძლე ჯიშების გამოსაყვანად. სურათზე: აგრონომი შ. ორაგველიძე ნაკვეთში ამოწმებს ლიმონის სამწლიან ნარგავებს.

დოლი ნარმატებით მიმდინარეობს

დუშეთი. (საკ. კორ.). ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე დოლი წარმატებით მიმდინარეობს. მლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მიღებული ნამატი (4.500 ბატკანი) მთლიანად შენარჩუნებულია.

საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს გუდამაყრელმა მეცხვარეებმა. მიღებულია 12.300 ბატკანი. ბრიგადირმა ნიკო ჩოხელმა მიიღო 841 ბატკანი. გუდამაყრელებმა გასულ წელს ჯიშიანი მწარმოებლით ხელოვნურად გაანაყოფიერეს 3.100 დედაცხვარი, მათგან მიღებული და შენარჩუნებულია 2.218 ნახევრად ნაზმატყლიანი ბატკანი. კარგად მუშაობენ მაქართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მიღებული ჰყავთ 7 ათასზე მეტი ბატკანი.

მოწინავე მეცხოველეები

ხაშური. (საკ. კორ.). გასულ წელს გვერდისუბნის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები და 1950 წელთან შედარებით ერთნახევარჯერ გაზარდა პროდუქტიულობა. ბვერდისუბნელმა კოლმეურნეებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება 1952 წელს მეცხოველეობაში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის და მოწოდებით მიმართეს რაიონის მეცხოველეობის მუშაკებს. მათ იკისრეს წელს მკვეთრად გაუმჯობესონ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, თვითეულ საფურაეე ძროხაზე უზრუნველყონ 850 ლიტრ რძის, თვითეულ ცხვარზე 3 კილოგრამი მატყლის მიღება, საუკეთესოდ მოუარონ პირუტყვს, მთლიანად შეინარჩუნონ ყველა სახის ფერმაში მიღებული ნამატი.

საკოლმეურნეო, შეძლებული ცხოვრების გზაზე იდგეთ!

სოფელ მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ქრისტეფორე ურუშაძე) ყოველწლიურად იზრდება, წინ მიდის, მტკიცდება მეურნეობრივად და ორგანიზაციულად. იგი ერთერთი დიდი მეურნეობაა ლანჩხუთის რაიონში. მის სიმდიდრეს 241 ჰექტარი ჩაის, 45 ჰექტარი ციტრუსების, 56 ჰექტარი ტუნგოს პლანტაციები და 3 ჰექტარი ვენახი შეადგენს. გარდა ამისა, შარშან კიდევ გააშენეს 5 ჰექტარი ჩაის და 8 ჰექტარი ციტრუსების პლანტაციები, 177,5 ჰექტარი კი ერთწლიან სათოხნ კულტურებს უჭავია.

კოლმეურნეობამ განსაკუთრებით დიდი წარმატებებით დაასრულა 1951 წელი. 490.000 კილოგრამის ნაცვლად მრეწველობას ჩააბარა 561.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წინა წელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე ჩაის მოსავლიანობა 310 კილოგრამით გაიზარდა. მოკრეფილი ფოთლის საერთო რაოდენობიდან 76 პროცენტის ნაცვლად 81,2 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ამის გამო კოლმეურნეობამ პრემიის სახით 128.508 მანეთი მიიღო. სულ, ყველა კულტურებიდან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 6.379.095 მანეთი შეადგინა.

კოლმეურნეობამ შარშან გადაჭარბებით შეასრულა სიმინდის მოსავლის მიღების სახელმწიფო გეგმაც. ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა დიმიტრი ჩხაიძის ბრიგადამ, რომელმაც 11 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 31,8 ცენტნერი სიმინდი, რაფიელ პატეიშვილის ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 26,4 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. კარგი წარმატებანი მოიპოვეს იმ რგოლებმა, რომლებსაც ალ. კილაძე, დ. კილაძე, მ. კუნჭულია და გ. ხარაიშვილი ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. მეცხოველეობის განვითარებისა და პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობას მიეკუთვნა მეორე პრემია—სატვირთო ავტომანქანა „გაზ-51“.

ნაყოფიერი შრომის შედეგად გაიზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღის ღირებულება. 1949 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი 4.038.182 მანეთს უდრიდა, 1950 წელს — 5.683.414 მანეთს, ხოლო 1951 წელს შემოსავალმა 6.379.095 მანეთს მიაღწია. შრომადღეზე გაიცა 40 მანეთი ფულად და 4,4 კილოგრამი მარცვლეული. იმ ბრიგადის შემოსავალმა, რომელსაც თედორე ჩხაიძე ხელმძღვანელობს, 1.043.678 მანეთი შეადგინა.

ასეთი მოსავლისა და შემოსავლის შედეგად კოლმეურნეები გამომუშავებულ შრომადღეებზე ბევრ ფულსა და დიდძალ პროდუქტებს იღებენ. კოლმეურნე ამირან კილაძის ოჯახმა 951 შრომადღე გამომუშავა. მას 36.257 მანეთი და 4.059 კილოგრამი მარცვლეული ერგო. შერმანდინ ჩიკაშუას ოჯახმა გამომუშავებულ შრომადღეებზე 36.734 მანეთი და 3.970 კილოგრამი მარცვლეული მიიღო. რაფიელ პატეიშვილის ოჯახს შრომადღეებზე ერგო 36.238 მანეთი და 3.643 კილოგრამი მარცვლეული.

გამომუშავებულ შრომადღეებზე დიდი თანხები და ბევრი პროდუქტები მიიღეს საკოლმეურნეო შრომის სახელგანთქმულმა ადამიანებმა. შუშანა დარჩიამ მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარზე 4.500 კილოგრამის ნაცვლად 7.108 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და 470 შრომადღე გამოიმუშავა. მან გამომუშავებულ შრომადღეებზე 2.040 კილოგრამი მარცვლეული და 29.126 მანეთი მიიღო. აქედან მარტო პრემიის სახით — 11.862 მანეთი. პრემიის ჩათვლით დარჩიას ყოველ შრომადღეზე 62 მანეთი ერგო. ეკატერინე ჩხაიძემ კი 0,5 ჰექტარზე 7.206 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და გამომუშავებულ შრომადღეებზე 29.025 მანეთი და 2.245 კილოგრამი მარცვლეული მიიღო. ასევე დიდი რაოდენობით ერგოთ ფული და პროდუქტები ნორა კილაძეს, ვენერა სამსონიას და სხვ.

კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობენ, აქვთ ძვირფასი საოჯახო ნივთები, აშენებენ ახალ საცხოვრებელ ბინებს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო 1951 წელს სოფელში 39 ოჯახმა აიგო ორსართულიანი ოდა-სახლი, ხოლო უძროხო კოლმეურნე კომლი მამათში დიდი ხანია აღარ არის. საკოლმეურნეო შრომამ გლეხობა წელში გამართა. ამ სოფლიდან საკოლმეურნეო შრომის 6 ნოვატორს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო 17 კაცი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

კოლმეურნეობას მძლავრი განუყოფელი ფონდი აქვს. ამჟამად განუყოფელ ფონდში 956.865 მანეთია ჩარიცხული. ეს კოლმეურნეობას საშუალებას აძლევს განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი საზოგადოებრივი მშენებლობისა და საკოლმეურნეო წარმოების გაფართოებისათვის. ამ მხრივ მამათში 1950-1951 წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა: ააგეს 400 ადგილიანი საკოლმეურნეო კლუბი, აგებულია და ამუშავდა აბანო, აშენდა პირუტყვის 2 კაპიტალური სადგომი 280 სული პირუტყვისათვის, 3 სასილოსე კოშკი 100 ტონის ტევადობისა, მეღორეობის ფერმის შენობა 45 დედაღორისათვის. აგებულია აგრეთვე სოიის საშრობი ფარდული, ციტრუსოვანთა ნერგების გამოსაზამთრებელი ფარდული, 14 სასიმინდე, საწვავის შესანახი საწყობი.

ამჟამად კოლმეურნეობა აშენებს ორსართულიან კაპიტალურ შენობას, კანტორისათვის, რომელსაც 36 სამუშაო ოთახი ექნება.

ყველა ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციას (პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. კილაძე). პარტორგანიზაციაში 50 კომუნისტია. ისინი კოლმეურნეობაში ავანგარდულ როლს ასრულებენ.

მამათელი კოლმეურნეების შვილები თავისიანე სოფელში იძენენ საშუალო განათლებას. კოლმეურნეთა ჯანმრთელობის დაცვას კი საექიმო პუნქტი და აფთიაქი ემსახურება, სოფლის ცენტრში აგებულია ჩაის ფაბრიკა მუშათა დაბით. მამათში ჩქეფს ახალი, კულტურული ცხოვრება.

ვ. ჯაყელი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

ჯავა. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი.

სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანების განმარტებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხს. ლექციები მოეწყო პარტიული მუშაობის მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

პროპაგანდისტის საანგარიშო მოხსენება საქალაქო კომიტეტის ბიუროზე

რუსთავი. (საკ. კორ.). პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა მეტალურგმშენის სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტის ი. გუკასოვის მოხსენება.

ბიურომ აღნიშნა, რომ გუკასოვი წრის მეცადინეობას რეგულარულად და მაღალ იდეურ დონეზე ატარებს. იყენებს ცოცხალი საუბრის მეთოდს, მოხერხებულად სარგებლობს თვალსაჩინოებით, რითაც გადასცემ მასალას მსმენელთათვის დამაინტერესებელსა და ადვილად ასათვისებელს ხდის. ამასთან ბიურომ ამხ. გუკასოვს მიუთითა ზოგიერთ ნაკლზე.

ბიურომ დაავალა საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი პროპაგანდისტ გუკასოვის გამოცდილების ფართოდ გასავრცელებლად.

კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ძირითადი ამოცანები და პრინციპები

საზოგადოებრივი წარმოების სოციალისტური წესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას და გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით სახალხო მეურნეობის სოციალისტური დაგეგმვა წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში განუყოფლად ბატონობს წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. სოციალისტური საკუთრება მეურნეობის გეგმიანი წარმართვის ეკონომიური საფუძველია. სოციალისტური საკუთრება სსრ კავშირში საკუთარ საფუძველზე შეესაბამება წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათს, რაც მეურნეობის დაგეგმვას ეკონომიურ აუცილებლობად აქცევს. აქრიგად, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის აუცილებლობა წარმოების სოციალისტური წესის შინაგანი ბუნებით განისაზღვრება.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარება ერთიანი სახელმწიფო გეგმის გარეშე შეუძლებელია. მაშინ როცა კერძოკაპიტალისტური საკუთრება წარმოშობს წარმოების ანარქიას და გამორიცხავს მეურნეობის დაგეგმვას, სოციალისტური საკუთრება, პირიქით, სპობს წარმოების ანარქიას, ერთიანებ, მძლავრ სახალხო-მეურნეობრივ ორგანიზმად აღუღაბებს მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, საკრედიტო, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, კავშირგაბმულობის და მრავალი სხვა დაწესებულების ფართო ქსელს, აკავშირებს ყველა სამეურნეო მნიშვნელობის დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობას მეცნიერების, ტექნიკის, სახალხო განათლების, კადრების მომზადების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში და ამგვარად აპირობებს მთელი სახალხო მეურნეობის გეგმიანი წარმართვის აუცილებლობას.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება სოციალიზმის ეკონომიური კანონია.

ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის სამი ძირითადი ამოცანა.

პირველი ამოცანაა უზრუნველყოს სოციალისტური სახალხო მეურნეობის დამოუკიდებლობა კაპიტალისტური გარემოცვისაგან, განამტკიცოს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამხედრო ძლიერება.

ამ ამოცანის გადაწყვეტის გასაღებს წარმოადგენდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგების, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობის განვითარება. „ჩვენს მეურნეობას, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—უნდა ვაშენებდეთ ისე, რომ ჩვენი ქვეყანა არ გადაიქცეს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დანამატად, ...რომ ჩვენი მეურნეობა ვითარდებოდეს არა როგორც მსოფლიო კაპიტალიზმის დამხმარე საწარმო, არამედ როგორც დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეული...“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 328).

აქედან ცხადია, რომ საბჭოთა ქვეყანას მუდმივად უნდა ექნეს თავის განკარგულებაში ყოველივე, რაც აუცილებელია დამოუკიდებელი მშვიდობიანი განვითარებისათვის, ხოლო ომის შემთხვევაში—გაიჩნდეს მძლავრი ეკონომიური ბაზა აქტიური თავდაცვისათვის. ომამდელი სტალინური ხუთწლედების პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ, გაითვალისწინა რა იმპერიალისტური სახელმწიფოების თავდასხმის საფრთხე, განახორციელა ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა პოლიტიკა, რამაც მოკლე ისტორიულ ვადაში უზრუნველყო საბჭოთა კავშირის გადაქცევა ეკონომიურად დამოუკიდებელ მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. კაპიტალდაბანდება მრეწველობაში პირველ ხუთწლედში შეადგენდა 25 მილიარდ მანეთს, მეორე ხუთწლედში — 58,6 მილიარდ მანეთს. უკვე 1938 წელს საბჭოთა კავშირი სამრეწველო პროდუქციის მოცულობით ევროპაში პირველ ადგილზე გამოვიდა. 1940 წელს საბჭოთა კავშირმა დაამზადა თუჯი ოთხმეოთხჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, ფოლადი—ოთხნახევარჯერ მეტი, ქვანახშირი — ხუთნახევარჯერ მეტი, ნავთი—სამნახევარჯერ მეტი, სასაქონლო მარცვლეული—17 მილიონი ტონით მეტი, ბამბის ნედლეული—სამნახევარჯერ მეტი. „წარმოების ასეთი უმაგალითო ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის უბრალო და ჩვეულებრივ განვითარებად ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ეს იყო ნახტომი, რომლის მეოხებითაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა“ (სტალინი).

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ხორციელდებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა, მოვიყვანოთ ზოგიერთი ფაქტობრივი მონაცემები. ასე, მაგალითად, 1928 წელს საბჭოთა კავშირი იძულებული იყო შემოეტანა უცხოეთიდან მისთვის საჭირო მანქანების ერთი მესამედი, ელექტროფეროშენაღნობთა 90 პროცენტი, ძვირფასი სტრატეგიული ნედლეულის — ალუმინის 100 პროცენტი, კაუჩუკის 100 პროცენტი. მეორე ხუთწლედის ბოლოს სურათი რადიკალურად შეიცვალა. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირმა საბჭოთა მასალისაგან დაამზადა ყველა საჭირო მანქანის 99 პროცენტი, ელექტროფეროშენაღნობთა 99 პროცენტი, ალუმინის 95 პროცენტი, კაუჩუკის 74 პროცენტი. სსრ კავშირმა მიაღწია სრულ დამოუკიდებლობას ბამბის წარმოების დარგში. მაშინ როცა მეფის რუსეთმა 1913 წელს უცხოეთიდან შემოიტანა 500 მილიონი მანეთის ბამბა (რაც რუსეთში ბამბის წარმოების ნახევარს შეადგენდა), სსრ კავშირმა მთლიანად დაიკმაყოფილა მოთხოვნილება ბამბაზე საკუთარი წარმოებით და ნაწილობრივ მისი ექსპორტიც კი დაიწყო. შექმნა რა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, რომელმაც მთლიანად დაიკმაყოფილა მეურნეობისა და თავდაცვის მოთხოვნილებანი, საბჭოთა კავშირმა არა მარტო მიაღწია კაპიტალისტური სამყაროსაგან სრულ ეკონომიურ დამოუკიდებლობას, არამედ ამ მიღწევების საფუძველზე დიდი სამამულო ომის დროს გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაში. პირველი ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამხედრო ძლიერება კიდევ უფრო განმტკიცდა. როგორც ამხანაგი ბერია აღნიშნავდა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის შესახებ, საბჭოთა კავშირი ახლა დაახლოებით იმდენსავე ფოლადს ადნობს, რამდენსაც ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და შვეიცარია ერთად. საბჭოთა კავშირს ახლა მეტი ბამბა მოჰყავს, ვიდრე მეგამბეობით ცნობილ ინდოეთს, პაკისტანსა და ეგვიპტეს ერთად.

მეორე ამოცანაა განამტკიცოს მეურნეობის სოციალისტური სისტემის გაერთიანებათა კუთვნილება. სოციალისტური საკუთრება როგორც საბჭოთა ხალხის საკუთრება ისევ ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. ეს ნიშნავს, რომ ნიშნავს ასევე, ეკონომიური ტენდენციების ნინააღმდეგ ბრძოლაში. ეკონომიური ტენდენციების ნინააღმდეგ ბრძოლა საწარმოთა ცალკეული ხელმძღვანელების ანტიახალმწიფოებრივი ტენდენციების ნინააღმდეგ გეგმების შესრულებაში, სპეკულაციური ტენდენციების ნინააღმდეგ ვაჭრობაში, საკოლმეურნეო დოლათის გამნიაგებელთა ნინააღმდეგ და იმ კოლმეურნეთა ნინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ მუშაობას საზოგადოებრივ მეურნეობაში და ცდილობენ პირადი დამხმარე მეურნეობა გადაქცეონ შემოსავლის ძირითად წყაროდ. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში კერძომესაკუთრული და ყოველგვარი სხვა მავნე ტენდენციებისა და მათი გამომწვევი წყაროების სრული აღმოფხვრა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

მესამე ამოცანაა სწორი პროპორციებისა და თანაფარდობის დამყარება სახალხო მეურნეობაში, რისთვისაც აუცილებელია წარმოებითი ფონდებისა და მუშახელის გეგმაშეწონილი განაწილება სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებს შორის. ამასთან საჭიროა რეზერვების შექმნა გეგმის შესაძლო გარღვევის შემთხვევაში დისპროპორციის თავიდან ასაცილებლად. „ჩვენ გეგმიანი მეურნეობა გვაქვს, გეგმაშეწონილად ვაკრავებთ რესურსებს და სწორად ვანაწილებთ მათ სახალხო მეურნეობის დარგებს შორის“. (ი. სტალინი).

სახალხო მეურნეობის განვითარება ხორციელდება გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის საფუძველზე.

სოციალისტური რეპროდუქცია გულისხმობს საზოგადოებრივი წარმოების ორ ძირითად დანაყოფს — წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საშუალებათა წარმოებას შორის, და ამ დანაყოფთა შიგნით — საწარმოთა შორის განსაზღვრული რაოდენობით პროპორციების არსებობას. სოციალიზმის დროს ეს პროპორციები მყარდება არა ღირებულების კანონის მოქმედების შედეგად, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალიზმის დროს, არამედ გეგმაზომიერად, მთელი სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

სწორი პროპორციების დამყარება ყოველთვის რიდი ნიშნავს არსებული ძველი პროპორციების შენარჩუნებას. სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ წარმოშვა პრინციპულად ახალი სახალხო-მეურნეობრივი პროპორციები, რომლებიც მოასწავებდა წარმოების საშუალებათა წარმოების განსაკუთრებულ განვითარებას, ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, სსრ კავშირის გადაქცევას აგრარული ქვეყნიდან პირველხარისხოვან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. მაშინ როცა 1913 წელს მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში 42,1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა 57,9 პროცენტს, 1937 წელს მრეწველობის ხვედრითი წონა გადიდდა 77,4 პროცენტამდე, ხოლო სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა შესაბამისად შემცირდა 22,6 პროცენტამდე სოფლის მეურნეობის იმავდროული აბსოლუტური ზრდის პირობებში. მნიშვნელოვნად შეიცვალა მრეწველობის შინაგანი სტრუქტურა. წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონა 1913 წლის 40,7 პროცენტიდან გაიზარდა 1940 წელს 62,8 პროცენტამდე, ხოლო მანქანათმშენებელი პროდუქციის ხვედრითი წონა 6,8 პროცენტიდან 31 პროცენტამდე. მანქანათმშენებელი მრეწველობა, რომელიც ტექნიკური პროგრესის საფუძველია, ომის წინ სსრ კავშირში უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მანქანათმშენებლობის პროდუქცია შეადგენდა მთელი სამრეწველო პროდუქციის 17,6 პროცენტს, ინგლისში—16,2 პროცენტს, გერმანიაში —

საშენი მასალით სპეკულაციის ოსტატები

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატი საშენი მასალით ამარაგებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მშენებლობებს.

კომბინატის ხელმძღვანელთა მოუქნელი, უხეირო მუშაობის შედეგად ამ საწარმოს კოლექტივი სისტემატურად ჩამორჩება გეგმების შესრულებაში. კომბინატის ყოფილი დირექტორი თ. კალანდაძე მარშან ოქტომბერში გათავისუფლეს თანამდებობიდან, მაგრამ დირექტორის შეცვლით კომბინატში მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. ჩამორჩენა და უწესრიგობა კვლავ გრძელდება. არის სერიოზული ნაკლოვანებანი, სახელმწიფო ქონების დატაცება, აგურ-კრამიტით სპეკულაცია.

ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატში აუდიტორული შემოწმების დროს თ. კალანდაძე დაკავებული იყო საეჭვო ადამიანებთან, ეწეოდა საშენი მასალის უკანონოდ გაცემას და ხელს უწყობდა კომბინატორებს სპეკულაციაში.

ზესტაფონის რაიონში კარგად იცნობენ ი. არჩვაძეს, როგორც კომბინატორსა და სპეკულანტს. იგი ზესტაფონელ მშენებლებს სისტემატურად „ამარაგებს“ საშენი მასალით. თ. კალანდაძეს დახმარებით ი. არჩვაძე ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატიდან ყალბი ბრუნვებით ახერხებდა კრამიტისა და აგურის გატანას და გადიდებულ ფასებში გაყიდვას. ზესტაფონის რაიონის ტიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის სახელზე თ. კალანდაძემ ი. არჩვაძეს მისცა 3.000 ცალი კრამიტი. ი. არჩვაძემ შემდეგ თითო ცალი კრამიტი 2 მანეთად და 50 კაპიკად გაყიდა. იმავე რაიონის სოფელ ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის სახელზე თ. კალანდაძემ ი. არჩვაძეს 3.000 ცალი კრამიტი მისცა. მიღებული კრამიტიც ამ უკანასკნელმა ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში გაყიდა ადგილზე ფასებში.

ალანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში სხვადასხვა სახის მშენებლობას ამარმებს ინჟინერი გოგიჩაიშვილი. მან დაუკავშირდა ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატის ხელმძღვანელებს და ყალბი საბუთებით ქსნიდან ლანჩხუთში იზიდებოდა და სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდა კრამიტს. თ. კალანდაძის დახმარებით გოგიჩაიშვილმა მიიღო 37.200 ცალი პირველი ხარისხის კრამიტი და თითო ცალი კრამიტი 2 მანეთად და 50 კაპიკად გაყიდა. კრამიტის ზედმეტ ფასებში გაყიდვით გოგიჩაიშვილმა და თ. კალანდაძემ 72.113 მანეთი მიითვისეს.

ამავე რაიონის სოფელ მამათში მცხოვრებ მ. მალაზონიას გოგიჩაიშვილმა 350 ცალ კრამიტში 875 მანეთი გადაახდევინა, ა. ლომაძეს 400 ცალში — 1.000 მანეთი და სხვ.

ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატიდან კრამიტის გაცემის ნებართვას სპეკულანტები იღებდნენ აგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბინათმომარაგების განყოფილების გამგის ქოქრაშვილის და მისი მოადგილის გელოვანისაგან. 1951 წლის 13 აგვისტოს ქოქრაშვილმა 2.500 ცალი კრამიტი გამოიწერა ვინმე შ. კვინიკაძეს, მაგრამ აღნიშნული კრამიტი ი. არჩვაძემ მიიღო. 1951 წლის 13 ივლისს ბინათმომარაგების განყოფილებამ 1.500 ცალი კრამიტის მიღების ნებართვა მისცა ვინმე ჯანელიძეს, ნამდვილად აღნიშნული კრამიტი გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრებმა დარჩიაშვილმა მიიღო.

აგურ-კრამიტის სპეკულაციით სახელი გაითქვა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბინათმომარაგების განყოფილების ექსპედიტორმა ა. კვიტაიშვილმა, რომელიც ამ განყოფილების წარმომადგენლად მუშაობდა ქსანში. ამბ. ქოქრაშვილის ხელმოწერით ა. კვიტაიშვილმა შარშან 8 მაისს ხელში ჩაიგდო „საკუთარი სახლის შშენებლობისთვის“ 10.000 ცალი აგურისა და 1.000 ცალი კრამიტის მიღების ნებართვა. ა. კვიტაიშვილმა აღნიშნული აგური და კრამიტი სპეკულანტურ ფასებში მიყიდა კერძო პირებს. შემდეგ მან მოახერხა ბინათმომარაგების განყოფილებიდან მიეღო 12.000 ცალი კრამიტის გაცემის ნებართვა. ა. კვიტაიშვილმა ამ კრამიტის ერთი ნაწილი ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის კოლმეურნეობაში, ხოლო მეორე ნაწილი მახარაძის რაიონში გაგზავნა. ზესტაფონის რაიონში გაგზავნილი კრამიტი ი. არჩვაძემ მიიღო და კერძო პირებს მიჰყიდა. აღებული თანხა კი „ძმაბიჭებმა“ თანაბრად გაინაწილეს.

ა. კვიტაიშვილის ცოლმა მარიამ თუშმალიშვილმა თ. კალანდაძის დახმარებით მოახერხა 2.000 ცალი კრამიტის მიღება, რაც აგრეთვე სპეკულანტურ ფასებში გაყიდეს.

კრამიტის რეალიზაციით მიღებულ თანხებს კომბინატის ცალკეული თანამშრომლები უბრალო ხელწერილებით იღებდნენ, არ შეჰქონდათ სალაროში და ითვისებდნენ. კომბინატის მთავარ ბუჰჰალტერს ქვათელაძეს ი. არჩვაძისაგან ხელწერილით მიღებული აქვს 1.456 მანეთი, რაც შემოსავალში არ არის გატარებული. კომბინატის მოლარეს ოსეფაშვილს ა. კვიტაიშვილისაგან მიღებული აქვს 3.000 მანეთი. ასეთი მაგალითები ერთეული როდია.

კომბინატში ქაოსური მდგომარეობაშია ანგარიშსწორება. არის თანხების უკანონოდ გაცემისა და მითვისების შემთხვევები. ერთ-ერთი საამქროს გამგედ დანიშნული იყო ვინმე დარსაძე, რომელსაც კომბინატში არასოდეს არ უმუშავია. მის სახელზე გამოწერილი ერთი თვის ხელფასი 1.012 მანეთი თ. კალანდაძემ მიითვისა.

კომბინატის მუშებმა კუზნეცოვმა და ბელიკოვმა შარშან აგვისტოში დაამონტაჟეს დროებითი წყალსაქაჩი. შესრულებულ სამუშაოზე გამოიწერეს 820 მანეთი, რომელიც მიღებულად დააწერეს მარჯარაშვილსა და ლაშქარაშვილს. სინამდვილეში აღნიშნული თანხა თ. კალანდაძემ მითვისა.

საწარმოში გამეფებულია უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა. შარშან 50.000 ცალი კრამიტის გაფუჭების შედეგად კომბინატმა 40.000 მანეთი იზარალა. კანტორის თანამშრომელთა უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს. ისინი სამსახურში დილის 10 საათზე ცხადდებიან, ხოლო დღის 3 საათსა და 20 წუთზე სამსახურიდან მიდიან. კომბინატის დირექტორს ამბ. შურღაიას ასეთი მოქმედება ნორმალურად მიაჩნია.

კომბინატის პარტიულ ორგანიზაციაში ცუდად არის დაყენებული არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა. აქ დამკვიდრდა არასწორი შეხედულება, თითქოს ცუდი მუშაობისათვის კომუნისტ ხელმძღვანელთა გაკრიტიკება პარტიულ კრებაზე არ შეიძლება.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის დამხმარე საწარმოთა სამეურნეო ცუდად ხელმძღვანელობს ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატს. სამმართველოს უფროსი ვ. ვასაძე ზშირად იმყოფება ქსანში. მაგრამ იგი „ვერ ამჩნევს“ კომბინატში არსებულ ნაკლოვანებებსა და ბოროტმოქმედებას. სამმართველოს წაყრუებით კომბინატორი თ. კალანდაძე დღემდე დაუსჯელია.

ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატში ბოლშევიკური წესრიგი უნდა დამყარდეს.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სახელმწიფო ქონების მფაცებლები და გულუხვი ხელმძღვანელები“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1952 წლის 23 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლების სამმართველოს სამშენებლო ორგანიზაციების, ასევე შორის სამგორდასახლებმშენის კანტორის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დანაშაულობანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლების სამმართველოს უფროსი ამხ. ბ. ყურაშვილი რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. სამგორდასახლებმშენის კანტორის მესამე უბნის უფროსი ა. გოგელია, მეორე უბნის უფროსი ბ. შენგელია, მომარაგების განყოფილების უფროსი დ. გოგორიშვილი მოხსნილი არიან სამუშაოდან და მათი საქმე გადაცემული აქვს პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად.

სამუშაოდან მოხსნილი და სამართალში მიცემული არიან აგრეთვე სამგორდასახლებმშენის კანტორის მთავარი ბუხჰალტერი პატარაია, მოლარეები ლულუნიშვილი და ახვერდიანი.

სამგორდასახლებმშენის კანტორის 1951 წლის სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტალური რევიზიისათვის სამმართველოს მიერ სართიჭალაში მოვლინებულია სპეციალური სარევიზიო ჯგუფი. ამას გარდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლების მთავარი სამმართველოს სარევიზიო ჯგუფი აწარმოებს აფხაზეთისა და კოლხიდის სამშენებლო კანტორების სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას. მოწმდება აგრეთვე წითელწყაროს და მარნეულის სამშენებლო კანტორების მუშაობა.

გავაუმჯობესოთ სასპორტო სექციათა მუშაობა

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დიდი ხანია ჩამოყალიბებულია ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი.

ფიზკულტურის საბჭოს ხელმძღვანელობს ამხ. გ. კაკაბაძე. შექმნილია სპორტის სხვადასხვა სახეობის 10 სექცია: ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის, ქართული ჭიდაობის, ტანვარჯიშისა და სხვა სექციები.

ფეხბურთის სექცია 18 კაცს აერთიანებს. მას ხელმძღვანელობს სამსხმელო საამქროს ოსტატი ამხ. მ. ციტურიშვილი. შარშან ქარხნის ფეხბურთელთა კოლექტივი მონაწილეობდა შეჯიბრებაში საქალაქო პირველობაზე შესამე ჯგუფში და პირველი ადგილი მოიპოვა.

ამჟამად ფეხბურთელები აწარმოებენ საწვრთნელ მზადებას მომავალი სასპორტო სეზონისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ფეხბურთის სექციის მუშაობას ხელს უშლის სასპორტო მოედნის, აგრეთვე ინვენტარისა და სპეციალური ტანსაცმლის უქონლობა.

ფრენბურთის სექციას, რომელსაც მექანიკური საამქროს ოსტატი ი. კოვალენკო ხელმძღვანელობს, კარგად მოწყობილი სასპორტო მოედანი აქვს. შარშან ქარხნის ფრენბურთელები მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში ლენინის რაიონის პირველობაზე და მეოთხე ადგილი დაიკავეს. სტანანოველები: მექანიკური საამქროს ოსტატი ს. ავაქოვი და ამავე საამქროს ოსტატი ვ. სივიაკი, რომლებიც ყოველთვიურად საწარმოო დავალებას 200 პროცენტით ანაღდებენ, ამავე დროს საუკეთესო ფრენბურთელებად ითვლებიან.

კარგად მოწყობილი საზამთრო სასპორტო დარბაზი და საბაფხულო მოედანი აქვს კალათბურთის სექციას. სისტემატურად ეწყობა საწვრთნელი მეცადინეობა, აგრეთვე შეჯიბრებანი რაიონის პირველობაზე. კალათბურთელები მომზარაგებული არიან კარგი სასპორტო ინვენტარით. მაგრამ ამ სექციას წარმატებებთან ერთად აქვს ნაკლიც: არა ჰყავს კვალიფიციური მწვრთნელი, რაც ხელს უშლის მის მუშაობას.

სუსტად მუშაობენ ტანვარჯიშის, ჭიდაობის, მძლეოსნობისა და ჩოგბურთის სექციები, რომლებსაც ხელმძღვანელებიც კი არა ჰყავთ.

ქარხნის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ფიზკულტურის კოლექტივს.

რ. კეკელიძე

კინოლექტორიუმი ბოლნისში

ბოლნისი. (საკ. კორ.). ბოლნისში გახსნეს კინოლექტორიუმი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. ლექტორიუმს კვირაში ორი დღე აქვს დათმობილი. ამ დღეებში ხდება პოლიტიკური, სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმებისა და კინონარკვევების დემონსტრირება.

ამას წინათ კინოლექტორიუმში უჩვენეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები — „მშვიდობის სადარაჯოზე“, „მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს“, „ოქროს მტევნები“ და „მცენარის ღეროს ზრდა“. ასეთ კინოსურათებს მაყურებლები ხალისით ეს ყრებიან.

პასუხი შეკითხვაზე

მდგომარეობა ჩუნინსში

ამხ. თ. ლოლაძეს (თბილისი) შეკითხვა

ტუნისელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მრავალი წლის ისტორია აქვს. უკანასკნელ პერიოდში ეს ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამით აიხსნება, რომ პროგრესული კაცობრობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ტუნისის ამბებს.

ტუნისი ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარეობს ლიბიასა და ალჟირს შუა. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მას ეკვრის ხმელთაშუა ზღვა, რომელიც განსაზღვრავს ტუნისის სუბტროპიკულ კლიმატს.

ტუნისის ტერიტორია 125 ათასი კვ. კილომეტრია. მთელი ფართობის 75 პროცენტი დაბლობია. მოსახლეობა დაახლოებით 3,5 მილიონს შეადგენს. აქედან 3 მილიონი არაბები და ბერბერები არიან. ტუნისში მცხოვრები 240 ათასი ევროპელიდან 144 ათასი ფრანგია. ისინი ქალაქებში ცხოვრობენ. დედაქალაქ ტუნისში 365 ათასი მცხოვრებიდან 115 ათასი ევროპელია.

ტუნისი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის 80 პროცენტს საკუთარი მიწის ნაკვეთი არა აქვს. უმიწო გლეხები მოჯამაგირეებად მუშაობენ, ან ნაკვეთს იჯარით იღებენ და მოსავლის ოთხ მეხუთედს მემამულეებს აძლევენ. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია პური და ქერი. მდინარეების გაყოლებით მისდევენ მებაღეობასა და მევენახეობას. ვენახებს 30 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს. გაშენებულია 20 მილიონზე მეტი ზეთის ხე. კარგად ხარობს ციტრუსები. დიდი რაოდენობით მოჰყავთ ბოსტნეული.

მოსახლეობის თვითეულ სულზე აქ ერთი ჰექტარი დამუშავებული მიწის ფართობი მოდის. ეს სრულიად საკმარისი უნდა იყოს ტუნისელი ხალხის კეთილდღეობისათვის, მაგრამ მშრომელთა ცხოვრების პირობები ‘ძალიან აუტანელია. ამის მიზეზი ის არის, რომ მიწა უცხოელ კოლონიზატორთა და ადგილობრივ მემამულეთა ხელშია. ყმა გლეხებს სასტიკად ჩაგრავენ.

ტუნისი მეტად მდიდარია წიაღისეულით. დიდი რაოდენობით მოიპოვება ფოსფორიტები, რკინის მადანი, ტყვია, თუთია, ვერცხლი, მარგანეცი და სხვ. ფოსფორიტების მოპოვება წელიწადში 1,5—2 მილიონ ტონას შეადგენს. ამ მხრივ ტუნისს კაპიტალისტურ ქვეყნებში მეორე ადგილი უჭირავს (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ). რკინის წლიური მოპოვება შეადგენს 700 ათას ტონას, ტყვიის —40 ათას ტონას. უკანასკნელ პერიოდში ბიზერტის ახლოს აღმოჩენილია ნავთი. ნავთის მოპოვება ამერიკელთა ხელშია.

იმის გამო, რომ ტუნისი ფაქტიურად საფრანგეთის კოლონია და მისი ნედლეულის დანამატია, ნაკლები ყურადღება ექცევა მრეწველობის განვითარებას. აქ მრეწველობაში დაახლოებით 100 ათასი კაცი მუშაობს. ტუნისიდან მეზობელ ქვეყნებში, უმთავრესად კი საფრანგეთში, გაიქეთ ფოსფორიტები, რკინის მადანი, ტყვია, ხორბალი, ბოსტნეული... ტუნისში შეაქეთ მანქანები, ქსოვილები, ნავთი, კვების პროდუქტები...

ფორმალურად ტუნისში შენარჩუნებულია მონარქია. წესით სახელმწიფოს ტუნისის ბეი უნდა განაგებდეს, მაგრამ ფაქტიურად საფრანგეთის გენერალური რეზიდენტი მბრძანებლობს. ტუნისის მინისტრთა კაბინეტში 8 ფრანგია. ადმინისტრაციულად ტუნისი დაყოფილია 19 ოლქად (დიკტრიკი). ოლქის გუბერნატორად, როგორც წესი, ფრანგს ნიშნავენ. ამრიგად, ფრანგი კოლონიზატორები შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობენ, ტუნისელ ხალხს კი მონურ პირობებში უხდება ცხოვრება.

ტუნისის მოსახლეობის 84 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. დაწყებით სკოლებში სასკოლო ასაკის არაბი ბავშვების მხოლოდ 10 პროცენტი სწავლობს. ყოველი მეოთხე ტუნისელი ავადმყოფია. ფართოდ არის გავრცელებული ტუბერკულოზი, ტრაქომა და სხვა სნეულებანი. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე არავინ ზრუნავს. 150 ათას მცხოვრებზე მხოლოდ ერთი ექიმი მოდის.

ტუნისს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ოფი ხელთაშუა ზღვაში შეჭრილი კონცხით უახლოვდება სიცილიას. ისტორიულად იტალიელები ტუნისის სამხედრო-საზღვაო ბაზას—ნავსადგურ ბიზერტას იტალიის საფეთქელზე მიბჯენილ დამბაჩას უწოდებდნენ.

ტუნისელმა ხალხმა მრავალ დამპყრობთა ბატონობა განიცადა, მათ შორის თურქი ბეგებისაც. უკანასკნელი 70 წლის მანძილზე განუწყვეტლივ ბატონობენ ფრანგი კოლონიზატორები.

ტუნისის მშრომელთა გამოდვიძებას ხელი შეუწყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ. 1926 წელს შეიქმნა ტუნისის კომუნისტური პარტია. მას შემდეგ გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მის შემდეგაც საფრანგეთის მთავრობა ტუნისელ ხალხს ჰპირდებოდა დამოუკიდებლობის მინიჭებას, მაგრამ ამერიკელ იმპერიალისტთა წაქეზებით ხელუხლებელი დატოვა ძველი რეჟიმი. ამან სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება გამოიწვია.

სახალხო მღელვარებით შეშინებული ტუნისის მთავრობა იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო საფრანგეთის მთავრობასთან. 17 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა ეს მოლაპარაკება. 1951 წლის 15 დეკემბერს საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ უცვლელად ტოვებს „შეთანხმების“ პროტექტორატის შესახებ. აღშფოთებულმა ტუნისელმა ხალხმა ხმა აღიმაღლა. ომართეზროდ საპროტესტო მიტინგები. მთავრობამ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და სთხოვა განეხილა საფრანგეთ-ტუნისის კონფლიქტი. ლიბერალურ-კონსტიტუციური პარტია „ნეო-დესტური“, რომელიც განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობს, დიდ იმედს ამყარებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, მაგრამ გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ, რომელიც ამერიკელ იმპერიალისტთა ხელქვეითია, საჯაროდ არ მიიჩნია ტუნისის განცხადების განხილვა.

ტუნისელი ხალხი განაგრძობს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, აწყობს გაფიცვებს, ზეგავლენას ახდენს მთავრობაზე. ცნობილია, რომ 1951 წელს ბიზერტაში დოკერებმა უარი განაცხადეს ავიოსან „დიკსმიუიდან“, ამერიკული იარაღის გადმოტვირთვაზე. ფრანგმა ხელისუფლებამ ღამით ჯარისკაცებს გადმოატვირთვინეს ეს იარაღი.

მიმდინარე წლის დამდეგს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საფრანგეთის მთავრობამ განიზრახა სასტიკი რეპრესიებით დაეშინებინა ტუნისელი ხალხი. 18 იანვარს გენერალურმა რეზიდენტმა დე ოტკლოკამ განკარგულება გასცა დაეპატიმრებინათ სახალხო მოძრაობის ორგანიზატორები. ამავე დღეს დაპატიმრეს ტუნისის კომპარტიის მდივანი ბუჰამედ ენაფაა, მორის ნიზარი, მუჰამედ ჯერადი, პარტია „ნეო-დესტურის“ თავმჯდომარე ჰაბიბ ბურგიბი, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე სლიმან ბენ სლიმანი და სხვ.

ხელმძღვანელთა დაპატიმრებამ აღაშფოთა ტუნისელი ხალხი. მშრომელებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, ქუჩებში გამოვიდნენ და ბრძოლის დროშა აღმართეს. პოლიცია სახალხო მღელვარების მომზადებული შეხვდა. მალე ბრძოლაში ჩაებნენ სამხედრო ნაწილები, საფრანგეთიდან მოვიდნენ მაშველი ძალებიც. უიარაღო ხალხის წინააღმდეგ გამოყენილ იქნა ტანკები, რეაქტიული თვითმფრინავები... მიუხედავად დამსჯელი ექსპედიციების თარეშისა და სასტიკი რეპრესიებისა, ტუნისელი ხალხი გმირულად განაგრძობს ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

რეპრესიები გრძელდება. გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით 18 მარტს დაპატიმრეს ტუნისის კომპარტიის მდივანი მოჰამედ ჰაბუ. გენერალურმა რეზიდენტმა დე ოტკლოკამ განკარგულება გასცა სასწავლებლების დახურვის შესახებ. ამან გამოიწვია სტუდენტებისა და მოსწავლეების საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 20 ათასმა კაცმა.

ტუნისის ამბებით დაინტერესდა საფრანგეთის ახალი მთავრობა, რომელსაც რეაქციონერი პინენი მეთაურობს. მისი ინსტრუქციით 25 მარტს რეზიდენტმა დე ოტკლოკამ ტუნისის ბეის წაუყენა ულტიმატუმი. შენიკის მთავრობის გადაყენების შესახებ. პრემიერ-მინისტრი შენიკი სახალხო მოძრაობის ზეგავლენით მოითხოვდა ტუნისის ისეთი მთავრობის შედგენას, რომელშიც შეკიდოდნენ მხოლოდ ტუნისელი მინისტრები. ფრანგი რეაქციონერები ყოველგვარი რეფორმის წინააღმდეგი არიან. ამიტომ მათ განიზრახეს საეჭვო მთავრობის გადაყენება. მაგრამ ბეიმ არ შეასრულა დე ოტკლოკის მოთხოვნა.

26 მარტს ტუნისის გენერალურმა რეზიდენტმა ძალაუფლება გადასცა საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალს გენერალ გარბეს, რომელმაც დაპატიმრა პრემიერ-მინისტრი შენიკი, აგრეთვე სამი მინისტრი და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის ტუნისის კომპარტიის პოლიტბიუროს ორი წევრი.

ტუნისში მეტად დაძაბული მდგომარეობაა. ომართება საპრეტესტო დემონსტრაციები. მოითხოვენ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას. ტუნისელი პატრიოტები აფეთქებენ ხიდებსა და საწყობებს, მოსვენებას არ აძლევენ ფრანგ კოლონიზატორებს.

ტუნისელი ხალხის წინააღმდეგ მარტო ფრანგი რეაქციონერები როდი იბრძვიან. ფაქტიურად აქ ყველაფერი ამერიკელ იმპერიალისტთა კარნახით და მსოფლიო რეაქციის დახმარებით კეთდება. ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებს ტუნისი ესაჭიროებათ სამხედრო პლაცდარმად მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის წინააღმდეგ განზრახულ ომში. დიდი ყურადღება ექცევა სამხედრო ბაზების მშენებლობას. ტუნისში ამერიკელებს შექმნილი აქვთ 15 ავიაბაზა. იმპერიალისტებს სურთ ტუნისი ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის აგრესიული მიზნების შესაბამისად გამოიყენონ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას ტუნისში ხელი შეუწყო ირანისა და ეგვიპტის ამბებმაც. ირანელი ხალხის გაბედული მოქმედება სიგნალი გახდა აფრიკის ხალხთა ამოქმედებისათვის. ამან საგონებელში ჩააგდო მსოფლიო რეაქცია.

ახლა, როცა მშვიდობისმოყვარე ტუნისელი ხალხი სასტიკი რეპრესიების მიუხედავად გმირულად იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მის დასაცავად ხმას იმაღლებს საფრანგეთის კომუნისტური პარტია. ყველა ფრანგი პატიოსანი მშრომელის სურვილია ტუნისელი ხალხის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ტუნისის ამბები ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ „კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების უშფოთველი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ერამ **განვლო.**

დადგა ერა განმათავისუფლებელი რევოლუციებისა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში...“ (ი. სტალინი).

პროგრესულ კაცობრობას სურს იხილოს დამოუკიდებელ, კაპიტალის მონობის უღლისგან თავისუფალი ტუნისი.

აკ. ჩავლეიშვილი

საგაფიცვო მოძრაობა იტალიაში

რომი, 2 აპრილი. (საკადესი). 1 და 2 აპრილს სარდინიაზე სულჩის (ცალიარის პროვინცია) ქვანახშირის აუზის 10 ათასმა მაღაროელმა 48 საათის გაფიცვა გამოაცხადა ხელფასის გადიდების შესახებ მოთხოვნის მხარდასაჭერად. აუზის ყველა შახტი რკინიგზა და ტრამვაი არ მუშაობდა.

სოციალიზმის ეკონომიკის წარმავლობათა ახალი დადასტურება

უცხოეთის გამოსვლაურება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“

ჩინეთი

პეკინი, 2 აპრილი. (საკდესი). ცნობამ საბჭოთა კავშირში სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. დღეს გაზეთმა „გუანმინჟიბაომ“ მოათავსა სრული ტექსტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ დაბეჭდა დადგენილების შინაარსი, ამასთან სათაურში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ფასების სათვალავით მეხუთე შემცირებაა ომის შემდეგ.

დადგენილება სსრ კავშირში სასურსათო საქონლის ფასების შემცირების შესახებ რამდენჯერმე გადასცა პეკინის რადიომ.

პოლონეთი

ვარშავა, 2 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის პრესა კვლავ ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბჭოთა კავშირში სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

გაზეთი „ვლოს პრაცი“ ამ ამბისადმი მიძღვნილ სტატიაში წერს:

საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები და მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროგრესსთვის მებრძოლნი სიხარულით და სიამაყით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბჭოთა კავშირში სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ომის კიდევ ერთი საუკეთესო და კონკრეტული დადასტურებაა, რომ, ახორციელებს რა ლენინისა და სტალინის მითითებებს, საბჭოთა ხალხი მიდის სწორი გზით.

სულ სხვა სურათს ვხედავთ კაპიტალის ქვეყნებში, სადაც უმუშევრობა და გაჭირვება კაპიტალისტური წყობილების აუცილებელი თანმგზავრებია, სადაც ახალი ომის მზადების პოლიტიკის შედეგად განუწყვეტლივ ეცემა ხალხის ფართო მასების ცხოვრების დონე.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 2 აპრილი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის გაზეთები კვლავ უკეთებენ კომენტარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბჭოთა კავშირში სასურსათო საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

გაზეთი „ზემედელსკე ნოვინი“ სტატიაში სათაურით „სტალინური ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის“ წერს:

რა არის საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყარო? ეს არის გიგანტური საწარმოება, რასაც ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული ადამიანი აღწევს სოციალისტურ მეურნეობაში. ეს არის დიდი წარმატებანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუწყვეტელი ზრდის დარგში, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში... საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის სტალინური სამშვიდობო პოლიტიკა, რომელიც ანვითარებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს ძალებს, მეცნიერებასა და ტექნიკას მხოლოდ მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირში ფასების ახალი შემცირება, წერს დასასრულ გაზეთი, რაც ხალხის კეთილდღეობისათვის სტალინური ზრუნვის გამოხატულებაა, კვლავ დამაჯერებლად ცხადყოფს მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის განსაკუთრებულ წარმატებებს საბჭოთა კავშირში, რომელიც კომუნიზმისაკენ მიდის. ეს არის მისი ძალა, ეს არის კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვების გარანტია.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (საკდესი). დღეს უნგრეთის გაზეთები მოწინავე სტატიებს უძღვნიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“.

გაზეთი „სკინტეია“ წერს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შესანიშნავი განვითარება მთელი მსოფლიოს მშრომელებს მიაჩნიათ კაპიტალისტური სისტემის წინაშე სოციალისტური სისტემის უპირატესობის ბრწყინვალე დადასტურებად. სსრ კავშირში ფასების ახალი შემცირება წარმოადგენს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების თანმიმდევრული პოლიტიკის გამოხატულებას. ეს პოლიტიკა სჩვევია სწორედ საბჭოთა მთავრობასა და ბოლშევიკურ პარტიას — მშვიდობისა და მშრომელთა კეთილდღეობის ერთგულ დამცველს.

საბჭოთა კავშირის წარმატებებით, საბჭოთა ადამიანების სახელოვანი მაგალითით აღფრთოვანებულნი, რუმინეთის მშრომელები მუშაობენ დიდი აღმავლობით და შეგნებული აქვთ, რომ თავდადებულ შრომას ხალისისთვის მოაქვს სიუხვე და განმტკიცებს მშვიდობის მომხრეთა ძლეევამოსილ ფრონტს.

გულგარეთი

სოფია, 2 აპრილი. (საკდესი). მთელი ბულგარული პრესა დაწვრილებით უკეთებს კომენტარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, დიდი სიხარულით შეიტყო საბჭოთა კავშირში ფასების ომისშემდგომი მეხუთე შემცირება. სოციალისტური მეურნეობის ეს ახალი დიდი გამარჯვება ცხადყოფს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ყოვლისმძლე სასიცოცხლო ძალებს და მის უდავო უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე. ფართო მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირება წარმოადგენს მშრომელთა კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლებისათვის სტალინური ზრუნვის მკაფიო გამოხატულებას.

ფასების ახალი შემცირება საბჭოთა კავშირის სამშვიდობო შემოქმედებითი პოლიტიკის შედეგია. სისხლისმღვრელი ანტიხალხური პოლიტიკის, გამალებული შეიარაღებისა და ტიფარი აგრესიის იმ პოლიტიკისაგან განსხვავებით, რომელსაც იმპერიალისტი მტაცებლები ახორციელებენ, საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, მშვიდობიანი ეკონომიური თანამშრომლობისათვის.

სწავლობენ რა დიდი საბჭოთა კავშირის მაგალითთან, მისი მსოფლიო-ისტორიული გამოცდილებით, ჩვენი ნაკადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბულგარელი მშრომელები რწმენით მიდიან წინ სოციალიზმის გზით.

ალბანეთი

ტირანა, 2 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ბაშქიმი“ სსრ კავშირში ფასების ახალ შემცირებას უძღვნის სარედაქციო სტატიას სათაურით „საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის ახალი დამამტკიცებელი საბუთი“.

მაშინ როცა კაპიტალის ქვეყნებში, წერს გაზეთი, დღითიდღე ძლიერდება შეტევა მშრომელთა ცხოვრების დონეზე, მაშინ როცა ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ისწრაფვიან გაანაღორონ მსოფლიო ომი, საბჭოთა მთავრობა ფიქრობს მშვიდობაზე და ყოველი ღონით ცდილობს მის შენარჩუნებას. სსრ კავშირში ფასების ახალი შემცირება ერთხელ კიდევ ამტკიცებს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო სტალინური პოლიტიკას. ასობით მილიონი მშვიდობისმოყვარე ადამიანი მთელ მსოფლიოში თავის საუკეთესო იმედს ამყარებს საბჭოთა კავშირზე, როგორც მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უძლეველ ბასტიონზე.

იტალია

რომი, 2 აპრილი. (საკდესი). „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ფასების შემცირების შესახებ ადასტურებს სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე, სამშვიდობო ეკონომიკის უპირატესობას სამხედრო ეკონომიკის წინაშე“, — წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „უნიტა“. ფასების მეხუთე, თანდათანობითი შემცირების შედეგად, რაც სსრ კავშირში განხორციელდა, განაგრძობს გაზეთი, „პური, ხორცი და ცხიმები საბჭოთა კავშირში ამის ნახევარი ეღირება, რაც სულ მხოლოდ ხუთი წლის წინათ ღირდა... მაშასადამე, მუდამ მატულობს არა მარტო სასურსათო საქონლის ყიდვის შესაძლებლობა, რაც ძირითადად მოსახლეობის ცხოვრების დონის საზომია, და შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ მისი მატერიალური და კულტურული განვითარების დონეზე... ამრიგად, პროდუქციის ზრდასთან ერთად დიდდება მოხმარება როგორც ფასების შემცირების შედეგად, ისე სამუშაოს მჭირნე მშრომელთა რაოდენობის გადიდების გამო. ერთი სიტყვით იზრდება კეთილდღეობა“.

„საბჭოთა კავშირში ფასების შემცირება, განაგრძობს გაზეთი, მოხდა იმ მომენტში, როცა მთელი იმპერიალისტური სამყარო განიცდის შაშისმომგვრელ კრიზისს, რაც გამალებული შეიარაღებით ძლიერდება. მაგრამ ფასების გადიდება შეიარაღების ერთადერთი შედეგი როდია. ყველგან სამხედრო მრეწველობაში მომუშავე მშრომელთა რაოდენობა ნაკლები იყო, ვიდრე იმ მშრომელთა რიცხვი, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს სამშვიდობო წარმოების შეკვეცის შედეგად. უმუშევრობა, გაკოტრება, ვაჭრობის შეზღუდვა, ბიუჯეტის დეფიციტი—აი როგორია სურათი ყველგან.

სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია უაღრესად განავითაროს თავისი სამოქალაქო მრეწველობა და განაგრძოს ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკა გამალებულ შეიარაღებასთან ერთად, კვლავ ბრწყინვალედ დადასტურდა ფაქტებით“.

ინდონეზიის ახალი მთავრობა

ჯაკარტა, 2 აპრილი. (საკდესი). გამოცხადებულია ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობა. ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით შესრულებელია ვილოპო (ეროვნული პარტია).

ბუდაპეშტში ჩავიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების მე-7 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად დღეს ,ბუდაპეშტში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საბჭოთა კავშირის მარშალ კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ე. ბოგომოლოვი და სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში ე. დ კისელიოვი.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ერნე გერე, საგარეო საქმეთა მინისტრი კაროლ ყაში და სხვ.

ბუდაპეშტში აღმოსავლეთის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი მატიას რაკოში, უნგრეთის მთავრობის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იშტვან დობის მეთაურობით, უნგრეთის მშრომელთა პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები. საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე უნგრეთში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები, სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები.

ვაგზლის წინ მოედანზე ბუდაპეშტის ათასობით მშრომელი შეიკრიბა დროშებით და პლაკატებით. მოედანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

უნგრეთის მთავრობისა და უნგრელი ხალხის სახელით საბჭოთა მთავრობის დელეგაციას მიესალმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. დობი.

— ჩვენ, — განაცხადა მან, — მხურვალე სიყვარულით მივესალმებით საბჭოთა დელეგაციას, იმ ხალხის დელეგაციას, რომელსაც უნგრეთი უნდა უმადლოდეს თავისუფლებას და რომლის დახმარება საშუალებას გვაძლევს ვაშენოთ ახალი, დამოუკიდებელი სოციალისტური სამშობლო.

იშტვან დობმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, რომელიც დელეგაციას მეთაურობს, უნგრელი ხალხის ნამდვილი მეგობარია. კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი მესამედ ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში, თქვა დობმ. იგი მუდამ გვიჩვენდა დიდ დახმარებას. მისი მეშვეობით ვგრძნობთ ჩვენ საბჭოთა ხალხისა და პირადად ამხანაგ სტალინის ზრუნვას ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ ჩვენს ხალხს მხურვალედ შეუყვარდა კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

შემდეგ დობმ აღნიშნა, რომ უნგრელი ხალხი უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით წარმატებით ანვითარებს სახალხო მეურნეობას და მიდის სოციალიზმისაკენ. დამსწრეთა ტაშის გრიალში იშტვან დობმ გამარჯვება უსურვა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, დიდ საბჭოთა კავშირსა და მის ბელადს, უნგრელი ხალხის საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა.

ვაგზლის მოედანზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციის გამოჩენას დამსწრენი ხანგრძლივი ოვაციით და „ვაშას“ შეძახილებით შეხვდნენ.

ფინეთის პრემიერ-მინისტრმა კეკონენმა უკან წაიღო თავისი შეუამდგომლობა გადადგომის შესახებ

ჰელსინკი, 2 აპრილი. (საკდესი). დღეს საღამოს ავარარული კავშირის გამგეობის საბჭომ დაამთავრა განხილვა მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრემიერ-მინისტრმა კეკონენმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. ამის შემდეგ, როგორც ფინეთის დეპეშათა ბიურო აღნიშნავს, გამოქვეყნდა შემდეგი ოფიციალური ცნობა.

„ავარარული კავშირის გამგეობის საბჭო ერთსულოვნად იწონებს სტაბილიზაციის პოლიტიკას, რომელსაც ახლანდელი მთავრობა ახორციელებს, და პრემიერ-მინისტრ კეკონენს და ავარარული კავშირის წევრ მინისტრებს უცხადებს სრულ მადლობას ამისათვის, თუ როგორ ახორციელებდნენ ისინი პარტიის თვალსაზრისს მთავრობაში. ამიტომ გამგეობის საბჭო წინადადებას იძლევა, რომ პრემიერ-მინისტრმა უკანვე წაიღოს თავისი შუამდგომლობა გადადგომის შესახებ და კვლავ დარჩეს მთავრობის მეთაურად“.

შემდეგ ფინეთის დეპეშათა ბიურო იუწყება, რომ, მოისმინა რა ავარარული კავშირის გამგეობის საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება, პრემიერ-მინისტრმა კეკონენმა უკან წაიღო თავისი შუამდგომლობა გადადგომის შესახებ და ამ მიზნით ინახულა რესპუბლიკის პრეზიდენტი.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 2 აპრილს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის ავიაციამ და საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ხუთი ავიაგამანადგურებელი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც თავს ესხმოდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგის რაიონებს.

კორეაში ჩასულ ჩინეთის ეპიდემიის საწინააღმდეგო ნებაყოფლობითი რაზმის წევრთა განცხადება

ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების შესახებ

პეკინი, 2 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კორეის ფრონტიდან იუწყება:

კორეაში ჩასული მედიცინის სპეციალისტები, ჩინეთის ეპიდემიის საწინააღმდეგო ნებაყოფლობითი რაზმის წევრები, 30 მარტს გამოქვეყნებული განცხადებით გმობენ ამერიკელთა მძიმე დანაშაულს — ბაქტერიოლოგიურ ომს კორეაში, მოუწოდებენ მთელი მსოფლიოს უკლებლივ ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს და მედიცინის პატიოსან მუშაკებს დაიარაზმონ, რათა ბოლო მოუღონ ამერიკელ აგრესორთა იმ ცდებს, რომლებიც მიმართულია მეცნიერების დამახინჯებისა და კაცობრიობის მოსპობისაკენ.

ჩვენი მუშაობის მსვლელობაში, ნათქვამია განცხადებაში, იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც შევხვდით, აგრეთვე ჩვენ მიერ წარმოებული ანალიზების საფუძველზე შევაგროვეთ იმის მრავალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამერიკელმა აგრესორებმა საერთაშორისო სამართლის დარღვევით გამოიყენეს და იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს კორეელი ხალხის, კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა წინააღმდეგ, რომლებიც უმკლავდებიან აგრესიას და იცავენ მშვიდობას.

ჩვენ გვსურს მეცნიერების მუშაკთა და მთელი მსოფლიოს სხვა ადამიანთა წინაშე, ვისთვისაც ძვირფასია სამართლიანობა, გამხელოთ და დავგმოთ ამერიკელ აგრესორთა ეს მზეცური დანაშაული, მაგრამ, ვითვალისწინებთ რა იმ ფაქტს, რომ ბაქტერიოლოგიური ომის ამერიკელი დამნაშავენი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მიიღონ სადაზვერვო ცნობები მათ მიერ გავრცელებული ბაქტერიების ეფექტიანობის შესახებ და ამ მიზნით პარაშუტითაც კი ჩამოუშვებენ ხოლმე საიდუმლო „აგენტებს, ჩვენ უადგილოდ მიგვაჩნია გამოვაქვეყნოთ ამჟამად ჩვენს ხელში არსებული ყველა მონაცემი და დამამტკიცებელი საბუთი. მიუხედავად ამისა, ქვემოთმოყვანილი ფაქტები სრულიად უეჭველად ადასტურებენ ამერიკელ აგრესორთა დანაშაულს—მათ მიერ ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებას.

ჩვენ ვნახეთ სხვადასხვა კონტეინერი, რომლებიც ამერიკელმა აგრესორებმა გამოიყენეს ბაქტერიების გასავრცელებლად. მათ შორის ბომბის მსგავსი 1 მეტრი სიგრძის ოთხგანყოფილებიანი ლითონის კონტეინერი; პარაშუტზე დამაგრებული ქაღალდის ცილინდრი; ქიმიური ნივთიერებისაგან დამზადებული კონუსისებრი მილი და ნახვრეტებიანი, ბადეზე დამაგრებული რბილი კონტეინერი. ჩვენ აგრეთვე ვნახეთ დასნებოვნებული რწყილები, მასკიტები, ბუზები, ფრინველები, ვირთაგვები, თევზი, ბაბაზ, კვების პროდუქტები, რომლებიც ამერიკის თვითმფრინავებმა ჩამოყარეს.

ტემპერატურა ჩრდილოეთ კორეაში თებერვალსა და მარტის დამდეგს შუა პერიოდში ჩვეულებრივ მერყეობს 0 გრადუსსა და 19 გრადუსს შუა ნულს ქვემოთ ცელსიუსით. ასეთ ცივ ამინდში თოვლითა და ყინულით დაფარულ მიწაზე ნორმალურ პირობებში არ შეიძლება გამოჩნდეს დიდძალი მწერი. მაგრამ თებერვლის დამდეგს ჩვენ უეცრად აღმოვაჩინეთ მრავალი ბუზი და სხვა მწერი, რომლებიც დაგროვებული იყვნენ იმ რაიონებში, სადაც ამის წინ ამერიკის თვითმფრინავებმა გადაიფრინეს.

გარდა ამისა, ამ მწერების ტანზე ჩვენ აღმოვაჩინეთ ავადმყოფობის გამომწვევი სხვადასხვაგვარი ბაქტერიები, აგრეთვე ისეთ დაავადებათა ბაქტერიები და ვირუსები, რომლებიც კორეაში ან არასოდეს არ ყოფილა, ანდა ასეთ ტემპერატურაში არ გამოჩენილა. მწერებისა და დასნებოვნებული საგნების შესწავლის შედეგად ჩვენ აღმოვაჩინეთ აგრეთვე ავადმყოფობის გამომწვევი ვირულენტური ბაქტერიები, რომლებიც მხოლოდ ხელოვნური გზით მრავლდებიან.

მაგალითად, განვიხილოთ შავი ჭირის გამომწვევის საკითხი. თანახმად „დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა, რომლებსაც კორეაში ყურადღება უნდა მიაქციოს სამხედრო-საზღვაო ფლოტმა“, რომელიც გამოცემულია ვაშინგტონს საზღვაო სამინისტროს სამედიცინო-ქირურგიული სამმართველოს მიერ 1946 წელს, კორეა წარმოადგენს რაიონს, სადაც შავი ჭირი მრავალი წლის განმავლობაში არ ყოფილა. მაგრამ ამჟამად, როცა გამოკვლევის შედეგად ჩვენ შავი ჭირის გამომწვევი აღმოვაჩინეთ ამერიკის თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილი დიდძალი რწყილისა და ვირთაგვის ტანზე, განა ეს არ არის იმის უდავო დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამერიკელი იმპერიალისტები ბაქტერიოლოგიურ ომს ეწევიან?

ამერიკელი აგრესორები ამჟამად ეწევიან სამარცხვინო ბაქტერიოლოგიურ ომს, რომლის წარმოებასაც ფართო მასშტაბით ვერ ბედავდნენ ჰიტლერი, მუსოლინი და იაპონელი მილიტარისტები. ის ფაქტი, რომ ამერიკელი ავიაზაკები ეწევიან ბაქტერიოლოგიურ ომს, არ შეიძლება უარყოფილ იქნას არავითარი სოფისტიკით.

ჩვენ, მედიცინის მუშაკებმა, ჩვენი თვალით ვნახეთ ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ჩადენილი საზარელი დანაშაულობანი. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ამერიკელი აგრესორები კორეაში ეწევიან დანაშაულებრივ ბაქტერიოლოგიურ ომს, და ეს განცხადება ემყარება ჩვენს მეცნიერულ გამოკვლევებს ამერიკელთა მიერ დაბომბვისა და ცეცხლდაშენის პირობებში, დღისით და ღამით, ვიყენებდით რა შესაძლებლობებს, რაც კორეელმა ხალხმა მოგვცა თავისი სისხლის ფასად, ჩვენ მიკროსკოპული დალაბორატორიული გამოკვლევის გზით შეეგროვეთ უდავო დამამტკიცებელი საბუთები, რომლებსაც ამერიკელი აგრესორები ვერ უარყოფენ.

ჩვენ მთელი მსოფლიოს გასაგონად მოვუწოდებთ ყველა მეცნიერ მუშაკს, რომელიც კაცობრიობის კეთილდღეობის საქმეს ემსახურება, ხელი შეუშალონ ამერიკელ ბანდიტებს ომში, რომ ისინი მეცნიერების მიღწევებს ადამიანთა დანაშაულებრივი მასობრივი მოსპობისათვის იყენებდნენ. მეცნიერებმა პროტესტის ხმა უნდა აღიმაღლონ ამერიკელი აგრესორების მიერ ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ.

ჩვენ განსაკუთრებით მივმართავთ იმ მეცნიერებს, რომლებსაც ომის ამერიკელი გამჩაღებლები იყენებენ, და მოვაგონებთ, რომ მეცნიერების მიზანია ბედნიერება მოუტანოს ადამიანებს. მაგრამ თქვენ გიყენებენ ადამიანთა მოსპობისათვის. მეცნიერება უნდა ემსახურებოდეს სნეულებათა ლიკვიდაციის საქმეს, მაგრამ თქვენ გიყენებენ ომისათვის, რომ კაცობრიობას თავს დაატეხონ უბედურება. ჩვენ მოგმართავთ ამ საქვეყნო მოწოდებით! ამერიკელმა აგრესორებმა უკვე დაგაყენეს თქვენ დანაშაულობის გზაზე. ჩვენ მოგიწოდებთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ საკვლევლის მთესველი საქმიანობა და შემოგვერთდეთ საყოველთაო მშვიდობისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისა და მეცნიერების ღირსებისათვის ბრძოლაში ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ და ომით წინააღმდეგ, ვინც ამს ეწევა.

ჩვენ, ახალი ჩინეთის მედიცინის მუშაკები, ერთსულოვანი ვართ. ჩინელი ხალხის ბელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით ჩვენ სრული რწმენით და ძალით ვეწევით მტკიცე ბრძოლას ამერიკელი აგრესორების მიერ გაჩაღებული ბაქტერიოლოგიური ომის შეწყვეტისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე მეცნიერებს, რომელნიც აგრესიული ომის წინააღმდეგ გამოდიან, გაერთიანდნენ და შემოგვიერთდნენ, რათა მტკიცე ბრძოლა ვაწარმოოთ ამერიკელ იმპერიალისტთა ბაქტერიოლოგიური ომის შეწყვეტისათვის, კაცობრიობის უშიშროების საქმისათვის, კეთილდღეობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, იმისათვის, რომ მეცნიერება გამოიყენოთ მთელი კაცობრიობის ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად“.

განცხადებას ხელს აწერენ: ბაქტერიოლოგიის პროფესორი ვეი სი, პარაზიტოლოგიის პროფესორი უ გუანი, ენტომოლოგიის პროფესორი ლიუ ცი-ინი, ენტომოლოგიის პროფესორი ხე ცი, ბაქტერიოლოგიის პროფესორი ფან ბო, ბაქტერიოლოგი სე ცი-მუ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლიუ ვეი-ტუნი, ბაქტერიოლოგიის პროფესორი გო ჩენ-ჯოუ, პათოლოგიან ძია-გუი, ეპიდემიოლოგი იუ ხუან-ვენი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დარგის სპეციალისტი ხე-გუან-ცინი, დიეტიკმი იან ენ-ფუ, ბაქტერიოლოგი იან შუ-ია და პარაზიტოლოგი ბაო დინ-ჩენი.

დაიხურა საერთაშორისო საჯადოკაო ტურნირი

გუდაპეშტი, 2 აპრილი. (საკდესი). დღეს საზეიმო ვითარებაში დაიხურა გ. მაროციის ხსოვნისა საერთაშორისო საჯადოკაო ტურნირის სიტყვა ტურნირის შედეგების შესახებ წარმოთქვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ჰედიმ. საერთაშორისო საჯადოკაოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ტურნირის ეიურის თავმჯდომარემ ვ. რაგოზინმა გამოაცხადა ტურნირის შედეგები.

გარდა იმ 9 მონაწილის პრიზებისა, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს, ეიურომ უკანასკნელ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგებისათვის პრიზი მიაკუთვნა კერესს, საბოს, სმისლოვსა და პეტროსიანს, რომლებმაც ოთხ-ოთხ ქულა მოაგროვეს ხუთში. თამაშში პრიზიორის წინააღმდეგ არაპრიზიორის საუკეთესო შედეგისათვის ჯილდო მიეკუთვნა კოტნაუერს. ეიურომ დააწესა აგრეთვე პრიზები ტურნირის საუკეთესო პარტიისათვის. პირველი პრიზი მიეკუთვნა გელერს გერებენზე გამარჯვებისათვის, მეორე — გელერსა და გოლობეკს მათ შორის გამართული პარტიისათვის. მესამე პრიზი გაიცა ვეს საბომ — კერესზე გამარჯვებისათვის. ოთ-კოტნაუერმა საბოზე გამარჯვებისათვის. ეიურომ აღნიშნა ორი ძვირფასი დაბოლოება. საბოს წინააღმდეგ თამაშში დაბოლოებისათვის აღინიშნა მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი პილნიკის წინააღმდეგ თამაშისათვის — უნგრეთის ჩემპიონი ბარცა.

ქალთა საკავშირო პირველობა ჭადრაკში

მეცხრე ტური

მეცხრე ტურში, რომელიც 2 აპრილს შეიდგა, მსოფლიოს ჩემპიონმა ლ. რუდენკომ ტ. ფილანოვსკაიასთან თამაშში რთული პოზიცია შექმნა და 42-ე სვლაზე მოიგო პარტია.

პირველი დამარცხება განიცადა ტურნირის ლიდერმა ო. რუბცოვამ. მან ი. გურფინკელთან სუსტად გათამაშა დებიუტი და, ლაზარის დაკარგვის შემდეგ, 35-ე სვლაზე მაკა დამარცხებულად ცნო.

ო. იგნატიევას წინააღმდეგ შავებით საინტერესოდ ითამაშა ვ. ბელოვამ. მწვავე პოზიციაში მან ხელთ იგდო ინიციატივა და მატერიალური უპირატესობა მოიპოვა. ო. იგნატიევას, რომელმაც გადააცილა ფიქრისათვის განკუთვნილ დროს, წაგება მიესაჯა.

ენერგიული თამაშით ტ. სტარინფსტრემმა 29-ე სვლაზე დაამარცხა ბ. კრუზბერგი. ნ. ვოიცეკმა მოუგო ბ. ვაისბერგს.

ყაიმით დამთავრდა ვ. ბელოვა — ტ. მახონიას და ლ. კოგან — ვ. ტეხოიროვას შეხვედრები. ორი პარტია გადადებულია.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 3-IV მოწინავე — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

საერთო სათაურით „ფასების ახალი შემცირება — ხალხის კეთილდღეობაზე პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის თვალსაჩინო დადასტურებაა“ წერილები: დონსასელ მეშახტეთა და მეტალურგთა სიტყვა. აყვავდა საყვარელი მამული. სიამაყის გრძნობა. ცხოვრება სულ უფრო შეძლებული ხდება. ვიმუშავებთ კიდევ უფრო უკეთ. მადლობა მთელი გულით. დღითიდღე ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება. მზრუველობა ხალხის კეთილდღეობაზე.

წიგნი — მასებს.

მეორე გვერდი — პ. კაბანოვი — ფასების ახალი შემცირება და საბჭოთა ვაჭრობის მუშაკების ამოცანები.

გ. ბრეგაძე — როგორ ვიმუშაოთ წიგნზე.

მ. ტუღუში — ჩაი. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მესამე გვერდი — დ. ნიკოლაიშვილი, გ. მაისაბიშვილი — გულრიპშელი მეთამბაქოეები.

სოციალიზმის ეკონომიკის წარმატებათა ახალი დადასტურება (უცხოეთის გამოხმაურება ფასების ახალი შემცირების შესახებ სსრ კავშირში).

ბუდაპეშტში ჩავიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია.

სტალინური პრემიის ლაურეატების შრომები — ა. ანიჩკოვი — საბჭოთა მედიცინა მშვიდობის საქმეს ემსახურება.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. დაიხურა საერთაშორისო საჯადოკაო ტურნირი. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის ქომოვეგების გადაცემათა პროგრამა

**(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქ